ლამპარი

თფილისი

კვირა, 23 (6) აპრილი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

№ 5 ყოველ-დღიური გაზეთი. № 5

არჩევნები ქუთაისში.

მოქალაქენო!

აირჩიეთ სოციალდემოკრატები!

ამ წლის 19 აპრილიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ლამპარი“

„ლამპარი“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., წლის ბოლომდის 4 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში: რედაქციის კანტორაში—კ. თავართქილაძის სტამბასთან, ელისაბედის ქ. № 17 და პროვინციებში ჩვენს აგენტებთან: **ერევანში**—ა. შუშანიანცი, **გორში**—არჩუაძე, **სამტრედიაში**—როსტომ ბასილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **ფოთში**—ბესარიონ ვაშაკიძე, **ქუთაისში**—ჟურნ.-გაზ. კანტორა „კოლხიდა“, **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **სიღნაღში**—ზაქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ხონში**—ბახტაძის წიგნისმაღაზია „რუსთაველი“, **ოზურგეთში**—მოსე ტუღუში, **ჭიათურაში**—ვლად. მოსეშვილი, **თელავში**—ქეთო ზარაფიშვილისა, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **ჩოხატაურში**—გიორგი ჟღენტი.

რედაქცია თხოვს აგენტებს **ყოველ კვირაში ანგარიში გამოგზავნონ, წინაალმდეგ შემთხვევაში გაზეთების გზავნა მოესპობათ**.

აგენტებს რედაქცია ნომერს **ორ კაპეიკათ უთმობს**.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ“.

დავით დიმიტრის ძე, ივლიტა გრიგოლის ასული, სოფიო და ნატალია დავითის ასულნი, გრიგოლ დავითის ძე ხირსელნი, მართა დავითის ასული და გიორგი დავითის ძე აგლაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 22 აპრილს ქ. თფილისის სადგურზედ მოასვენებენ მოსკოვიდან უკანასკნელ არეულობის დროს იქ მოკლულ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

ილიკო ხირსელის

გვამს, სადგურიდან 12 საათზე გაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკკლესიაში, სადაც წირვის დაკრძალული იქნება. (2—1)

შალიკო ივანეს ძე ცინცაძე შვილებითურთ და რძლით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 25 აპრილს, 10 საათზე, დილით სოფ. ლანჩხუთში გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულ პირველის ძვირფასის მეუღლის, მეორის დაუვიწყარი დედის და მესამის დედამთილის

საშა (ალექსანდრა)

სიმონ წერეთლის ასულის ცინცაძის

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

ქუთაისის მოქალაქეთა მიმართ.

მოქალაქენო!

ხვალ, 24 აპრილს, ორშაბათს, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, უპრავაში მოხდება არჩევნები სათათბიროს წევრთა ამომრჩევლების.

არჩევნების საშუალებით თქვენ უნდა გამოთქვათ თქვენი რწმენა და მიმართულება, არჩევნებითვე უნდა ცხად-ყოთ, თუ რომელ პარტიის მხარეზეა თქვენი თანაგრძნობა, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თუ რომელ პარტიას ალქურავთ თქვენი ნდობით, თუ ვის მიანდობთ სახალხო თავისუფლების ბედიღბალს.

მოქალაქენო! მას შემდეგ, რაც ქუთაისშიაც შემოანათა თავისუფლების შუქმა და ჩვენი ქალაქიც ჩაება საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში, თქვენ ცნობდით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხელმძღვანელობას, მედგრათ იდექით მისი წითელი დროშის ქვეშ. არა მარტო თქვენ, არამედ მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი რკალივით ერტყა იმავე სოციალ-დემოკრატიულ დროშას. მუშა ხალხი სოციალდემოკრატიული პარტიის მეთაურობით—აი ვის მიქონდა და მიაქვს თავისი ზურგით რუსეთის რევოლიუციის დიდი საქმე. ერთი სიტყვით, სოციალდემოკრატია—აი ვინ იყო, არის და იქნება განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, მისი სულის ჩამდგმელი და გულის ალმძვრელი.

და აი, მოქალაქენო, მოგიწოდებთ თქვენ ერთი ან ორი საათით შეაჩეროთ ჩვეულებრივი მუშაობა, რომ პირნათლათ შეასრულოთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა; მიდით არჩევნებზე.

✦ აირჩიეთ სოციალდემოკრატები ✦

ივანე გედევანის ძე გომართელი.

პეტრე მიხეილის ძე დონდაროვი.

ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი.

სერგო დავითის ძე ჯაფარიძე.

ქუთაისის საარჩევნო ცენტრალური კომისია რ. ს. დ. მუშათა პარტიისა.

თფილისის ქალაქის

გამგეობა

სთხოვს ყველა სახლის პატრონებს, დაუყონებლივ შეუდგენ ტროტუარების გაკეთება-გაწმენდას, სარდაფების შესავლის გადაკეთებას, ტროტუარზე ასასვლელ კიბეების საფეხურების შეკეთებას, რომლებიც ისე არ არიან, როგორც ამას სავალდებულო დადგენილება მოითხოვდა, ე. ი. 7 ვერშოკზე მეტი ადგილი უჭირავს. ის სახლის პატრონები, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში არ გააკეთებენ ყველა ამას, ქალაქის გამგეობა იძულებული იქნება პასუხის გებაში მისცეს სახლის პატრონი და სამუშაო სახლის პატრონის ხარჯზე იქნება გაკეთებული. (1—1)

ქუთათურ ამრჩევლებთადმი.

მოქალაქენო!

ხვალ, 24 აპრილს თქვენ უნდა აირჩიოთ წარმომადგენლები (ამომრჩევლები) სათათბიროს წევრის ასარჩევათ. თქვენ უნდა შეასრულოთ პასუხსაგებელი მოქალაქობრივი ვალი. ვიდრე შეხვიდოდეთ საარჩევნო დარბაზში, მტკიცეთ უნდა გქონდეთ გადაწყვეტილი, ვის გააშავებთ და ვის გაათეთრებთ; კარგათ უნდა გაითვალისწინოთ, რომელ კანდიდატებს რისთვის შეაქცევთ ზურგს და რომელ კანდიდატებს რისთვის აირჩევთ წარმომადგენლებათ.

ღირსეულ კანდიდატების არჩევით ღირსეული მსჯავრი უნდა დასდოთ დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

დღევანდელი მდგომარეობა იმდენათ მძიმეა, იმდენათ აუტანელი და სულის შემხუთავი, რომ თუ კაცს სრულიად არ ჩაქრობია ადამიანობის ნაპერწკალი, თუ კაცს სრულიად არ დახშობია ადამიანური გრძნობა-გონება, მას არ ეცოდინება გულ-გრილობა, ასე გულხელ დაკრეფილი ვერ მოუცდის ხვალინდელ დღეს. შავ-ბნელი რეაქცია ძალუმათ გვიწევს, დაუცხრომლათ ვემზადებოდეთ აქტიური მოქმედებისათვის.

ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის ბარბაროსულ თარეშობის საზარელი კვალი ატყვია მთელ ჩვენ ქვეყანას. გაავთრებულმა მთავრობამ ცეცხლს და მახვილს მისცა მთელი ქვეყანა, რათა ხალხის გულიდან საბოლოოთ ამოეფხვრა თავისუფლებისადმი სიყვარული, ადამიანური ცხოვრებისადმი მისწრაფება. მთავრობამ შემოიღო უკუღმართი საარჩევნო სისტემა, დააკანონა უკუღმართი სახელმწიფო სათათბირო (დუმა), გააძლიერა უპაგალითო რეპრესიები, რათა საბოლოოთ ჩაეკლა სამართლიანობის ხმა, თავიდან აეცილებინა ხალხის რისხვა და ამ რიგად კვლავ განემტკიცებინა თავისი უსაზღვრო ბატონობა.

მოქალაქენო! არჩევნების შედეგმა უნდა ნათელ ჰყოს, რამდენათ აღწევს მთავრობა თავის საწადელს. ღირსეული წარმომადგენლის არჩევით თქვენ თქვენის მხრით გააბათილებთ მთავრობის განზრახვებს და პლანებს.

სხვა და სხვა, პარტიებისა და ჯგუფებისაგან წამოყენებული არიან სხვა და სხვა კანდიდატები. ვის აირჩევთ?

კანდიდატის დასაფასებლათ საკმაო არ არის იმისი ენაწყლიანობა და უხვი დაპირებანი; თქვენ უნდა გქონდეთ გარანტია (თავდებობა), რომ იგი მართლა იქნება თქვენი ჭირ-ვარამის გამომხატველი, თქვენი მისწრაფება-სურვილების აღმასრულებელი. ამისათვის უნდა მიმართავდეთ კანდიდატების პარტიულ ბაირაღს, რომელ პარტიას მისცემთ თქვენ ხმას? თქვენ წინა სდგანან მაგ. კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები. ესენი ასპარეზზე გამოვიდენ მხოლოთ სათათბიროს არჩევნების მოლოდინში, მხოლოთ არჩევნების კამპანიის დაწყებიდან ახმაურდენ. აქამდის კი რა აკეთეს? რას შვრებოდენ?—ბანკებში და „უპრავაში“ ჯიბე-უბეს ისქელებდენ; ხანდასმითაც ერთმანეთზე პირადული ანგარიშით ბრძოლის ჟინს იკმაყოფილებდენ. კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს მთელი ავლადიდება სიტყვებია, სიტყვები, მხოლოთ სიტყვები. რაც შეხება საქმეს, პოლიტიკურ მოღვაწეობას, არაფერი მოეპოვებათ გარდა იმ „აქტების“, რომლითაც ისინი ნდობას და ერთგულებას უცხადებდენ მთავრობას. ნდობას და ერთგულებას უცხადებდენ იმ მთავრობას, რომლის ბარბაროსულ თარეშობას ხალხი ადარებს მონგოლების თემურ ლენგის შემოსევას და ამ უკანასკნელს პირველზე უფრო სუბუქათ სთვლის.

კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების (კადეტების) პარტია რუსეთს მოევლინა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხის მოძრაობამ უკვე გაარღვია ბიუროკრატიულ-თვითმპყრობელობის საზარელი კედელი. მშრომელმა ხალხმა თავის თავზე გადაიტანა ბრძოლის მთელი სისასტიკე. როდესაც თავისუფლებისთვის ამდგარი ხალხი ბრძოლის ცეცხლში იყო გამოხვეული, იქ კადეტები არა ყოფილან. ხალხთან იდგა სულ სხვა პარტია.

მშრომელი ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველია სოციალდემოკრატია. ამ პარტიამ მედგარი ბრძოლით დაამტკიცა, რომ იგია მშრომელი ხალხის მცველი და მფარველი, მისი ჭირ ვარამის მატარებელი და მეგულისპასუხე. რადგან სოციალდემოკრატია არის ყველაზე უფრო დაჩაგრულ კლასის წარმომადგენელი, იგივე არის თავგამოდებული მებრძოლი ცხოვრების ყოველ გვარ მჩაგვრელობა—ექსპლოტაციის წინააღმდეგ, მაშასადამე, ეროვნულ მჩაგვრელობის წინაამღდეგაც. სოციალდემოკრატია ესწრაფის მთელი ხალხის და სრულს ყოველ მხრივ განთავისუფლებას.

როგორც მშრომელი ხალხი არის ნამდვილი საფუძველი და ბურჯი მთელი საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ისე ამ ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველი სოციალდემოკრატია არის ნამდვილი მეთაური მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წინმსვლელობისა. სოციალდემოკრატია სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა რუსეთის იმპერიის განმათავისუფლებელ მოძრაობას. სოციალდემოკრატია არის ამ მოძრაობის მესვეური და ბაირაღტარი.

მოქალაქენო! თქვენ არ გადუდგებით სოციალდემოკრატიულ პარტიას! არ უღალატებთ სასტიკ ბრძოლაში გამოტარებულ იმის ბაირაღს!

მოქალაქენო! თქვენის არჩევნებით აღიარეთ, რომ ერთგულათ შერჩით განმათავისუფლებელ მოძრაობას! ამცნეთ ქვეყანას, რომ ბეჯითად გადაგიწყვეტიათ საბოლოოთ დაამსხვრიოთ მონობის ბორკილები და რომ არ შეურიგდებით არავითარ სახელმწიფო პირობებს, ვიდრე არ დამყარდება ნამდვილი დემოკრატიული წეს-წყობილება, ნამდვილი სახალხო თავისუფლება.

მოქალაქენო! დაამტკიცეთ, რომ თქვენც გწყურიათ ადამიანური ცხოვრება და შეგნებული გაქვთ თანამედროვე საზოგადოებრივ განვითარების დანიშნულება! დაამტკიცეთ, რომ თქვენც გწყურიანთ ქვეყანას გადაეშალოს ფართე ასპარეზი ქონებრივ და კულტურულ აღორძინებისათვის და კაცობრიობის უმაღლეს და უკეთილშობილეს იდეალის (სოციალიზმის) განსახორციელებლათ!

მაშ აირჩიეთ სოციალდემოკრატები!

ბურჟუაზიული პარტიები ქუთაისში.

ხვალ ქუთაისში უნდა დაიწყოს დუმის წევრების ამომრჩეველთა არჩევნები. ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი საზოგადო ვარამი აწუხებს, შეფიქრიანდება, ვის ჩაუგდოს კენჭი, რომელი კანდიდატები ავირჩიოვო.

ხვალ გაჩაღდება ბრძოლა ორ ბანაკს შორის: პირველი ბანაკია, ბანაკი მშრომელთა, ჩაგრულთა, ბანაკი მდაბიო ხალხისა. ამ ბანაკს წინამძღოლობს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. მეორე ბანაკში თავი მოიყარეს შეძლებულ კლასების წარმომადგენლებმა: მემამულეებმა, მსხვილ ვაჭრებმა, ადვოკატებმა, ექიმებმა, ჩინოვნიკებმა, მღვდლებმა და სხვ.; ამ ბანაკს სათავეში უდგას ორი შეერთებული პარტია: „კადეტების“ და ეგრეთ წოდებული სოციალისტ-ფედერალისტური პარტია.

ვინ არიან კადეტები? ვინ არიან ფედერალისტები? კადეტები ჩვენში ეხლა, ამ არჩევნების დროს გაჩნდენ. აქამდის ისინი, როგორც პარტია, არსად ჩნდა; რუსეთში გამარჯვებით გათამამებულთ ჩვენშიაც სურთ მოიმკონ ის, რაც არ უთესიათ.

მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, რანაირია ამ პარტიის ბუნება, რით იჩინეს თავი კადეტებმა?

აქამდის რევოლიუციონურ გამწვავების დროს, ისინი სოროებში იყვენ მიმალულნი და გულის ფანცქალით ადევნებდენ თვალყურს ბრძოლის ველს: რომელი მხარეც დაამარცხებდა, ჩვენი ლიბერალები იქითკენ იყვენ. რაკი დაინახავდენ, პროლეტარიატი სისხლიდან იცლება და მთავრობა სძლევსო, ჩვენი ლიბერალები თავს მოიკატუნებდენ და მთავრობას არწმუნებდენ: ჩვენ ყოველთვის მთავრობის მომხრენი ვყოფილვართ და ვიქნებითო; თუ დაინახავდა, რომ მთავრობა დასუსტდა და პროლეტარიატს რამეს დაუთმობსო, ლიბერალები თავს სოროდან გამოყოფდენ და რიხიანათ დაიძახებდენ: „დაკა, დაკა მაგას! მაგან დაღუპა ქვეყანა, ჩვენ ყოველთვის გვძულდა მთავრობაო!“

ასეთ ქამელეონურ, ასეთ მოღალატურ პოლიტიკას ადგენ ლიბერალები მთელ თავის ისტორიაში. ასეთივე მოღალატურ პოლიტიკას ადგიან დღესაც. შორს რომ არ გავიქცეთ, თვალი გადავავლოთ კადეტების მოქმედებას სულ უკანასკნელ დროს.

სანამ მთავრობა ძალას იჩენდა და ხალხს არაფერს უთმობდა, ჩვენი ლიბერალები, ეხლანდელ კადეტების საუკეთესო წარმომადგენლები (პეტრუნკევიჩი, როდიჩევი, გოლოვინი, დოლგორუკი და სხვანი) წარუდგენ ხელმწიფეს და მონური ენით რწმუნება დაუწყეს, ჩვენ თქვენი ერთგულნი ვართ, ჩვენ გვინდა „რითიმე განუგეშოთ“ ამ არეულობის დროსო, ჩვენ ტახტის ერთგულნი ვართო, ჩვენ კარგათ გვესმის, რომ „მეფეს სიკეთე სურსო“ და სხ. გავიდა დრო, მთავრობამ მჭერმეტყველ კადეტების მასხარათ ასაგდებათ „ბულიგინის კონსტიტუცია“ შეთითხნა. პროლეტარიატი და გლეხობა ამ დროს გამწარებით ებრძოდა მთავრობას; მთავრობა უფრო და უფრო სუსტდებოდა, ხალხს უფრო და უფრო მხნეობა ემატებოდა. მაშინ ჩვენმა კადეტებმა პროლეტარიატისკენ ქნეს პირი, გაუღიმეს, ბრძოლის ტაქტიკა—საერთო პოლიტიკური გაფიცვა მოუწონეს და კიდევაც წააქეზეს: ყოჩაღ, იბრძოლე, გაიფიცე, ჩვენც შენთან ვართო! გამხნევებულმა პროლეტარიატმა კიდევ მოიკრიბა ძალა, კიდევ ერთხელ გაიფიცა და შეანგრია თვითმპყრობელობის სიმაგრე: გამოვიდა 17 ოქტომბრის მანიფესტი, კადეტებმა მიიღეს, რაც მათთვის ყველაზე საჭირო იყო: თავისუფლება სიტყვის, კრების და სხ. რაკი იგრძნეს საშიში აღარაფერიაო, კადეტები წინ გამოხტენ და ურცხვათ დაიძახეს: „ჩვენ დავამარცხეთო.“ დამფუძნებელ კრების მოწვევაზე უარი თქვეს, ვიტეს მთავრობას ნდობა გამოუცხადეს. ამის შემდეგ პროლეტარიატის ბრძოლას სულ სხვა თვალით შეხედეს: შეჩერდით, ბრიყვებო, შეაჩერეთ თქვენი სულელური გაფიცვა, გვაცალეთ და ჩვენ თქვენ სასურველათ მოვაწყობთ სახელმწიფოსო. მაგრამ რა კი კადეტებმა დაინახეს, პროლეტარიატს მოპოებულ თავისუფლებაზე კიდევ მეტი სურსო, ზურგი აქციეს მას და ვიტე-დურნოვოს კლანჭებში ჩააგდეს.

ასეთ მოღალატეობას იჩენდა კადეტების პარტია წარსულში. ასეთივე მოღალატეობა სურს მომავალში, ამას პარტიის პროგრამა გვიმტკიცებს.

კადეტები **მონარხისტები** არიან, ისინი მოწინააღმდეგენი არიან დემოკრატიულ რესპუბლიკისა, იმათ ეშინიათ ხალხის გაბატონებისა. იმათ ისეთი წყობილება სურთ, რომ მეფეს ძალა შერჩეს ხელში, რომ მეფეს შეეძლოს ხალხის „დამშვიდება“, თუ ხალხი ბურჟუაზიის ბატონობას რყევას დაუწყებს მათ სურთ ორ პალატიანი პარლამენტი: ზემო პალატას, ბატონების პალატას, უნდა შეეძლოს გააუქმოს ის კანონი, რომელსაც ხალხის წარმომადგენლები მიიღებენ.

კადეტებს სურთ გლეხების ღალატი; როგორც მემამულეთა წარმომადგენლებს, მათ სურთ როგორმე დაიხსნან მემამულეები გლეხთა თავდასხმისგან და გლეხები ამნაირ ზომებით უნდათ გააბრიყვონ: თუ მიწები გაკლიათ, იყიდეთ მემამულეებისგან „სამართლიან“ ფასშიო. ეს „სამართლიანი“ ფასი, რასაკვირველია, მხოლოდ მემამულეებს გაამდიდრებს.

ასეთია ეს „სახელოვანი“ პარტია, რომელიც თავს ურცხვათ უწოდებს „ხალხის თავისუფლების პარტიას“; ასეთია ეს პარტია, რომელმაც მთელ რუსეთს ყურები გაუჭედა, ჩვენა ვართ, რაცა ვართო; ასეთია ეს პარტია, რომელმაც მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვა, რომ სოც.-დემ. პარტიამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო და მოედანი სხვას დაუნარჩუნა. რუსეთის გამარჯვებით გამხნევებულმა კადეტებმა ჩვენშიაც მოინდომეს სხვის ნათესის მომკა, ჩვენშიაც სურთ სხვის მიწაზე თავისი ბედნიერება ააგონ! მაგრამ არ ეღირსებათ ეს მათ!

კადეტების მხარის დაჭერას აპირებს არა ნაკლებ „სახელოვანი“ ფედერალისტთა პარტია. ეს ვაჟბატონები ყველას ყურებს უჭედავენ, ნამდვილი, პირველი სორტის სოციალისტები ვართო, სოციალისტზე უფრო სოციალისტი, მაგრამ როცა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა გახდა საჭირო, ისინი ყველგან შეძლებულ კლასების პარტიებს მიემხრენ, შეუძლო, ჩაგრულ კლასებს უღალატეს: თფილისში ბ. არგუთინსკი-დოლგორუკოვის ე. წ. „რადიკალურ“ პარტიას დაუჭირეს მხარი, ქუთაისში ფეოდალურ კადეტებთან აქვთ მოლაპარაკება. სადაც კადეტები და რადიკალები არ აღმოჩნდებიან, ვინ იცის ეს ვაჟბატონები ვის დაუჭერენ მხარს, ოღონდ კი სოციალდემოკრატები გააშვონ.

აქამდის ქუთაისელმა მშრომელმა ხალხმა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ისახელა თავი. ხვალ მას მოელის მდიდარ კლასების შეერთებულ პარტიებთან ბრძოლა. ვინძლო ამ ბრძოლაშიაც ჩაგრულმა ხალხმა ისეთივე მხნეობა გამოიჩინოს, როგორც აქამდის იჩენდა, ვინძლო მძლავრთა პარტიების ლაქიებმა არ მოატყუოს იგი, ვინძლო ამ მუქთახორებს არ მოაწყვეტინოს ის ყვავილი, რომელიც ხალხმა თავისი ოფლით მოიყვანა, თავისი სისხლით გაახარა!

ძირს მძლავრთა პარტიების კავშირი!

გაუმარჯოს მდაბიო ხალხის პარტიას!

მოქალაქენო, აირჩიეთ სოციალდემოკრატები!

რათ უნდა აირჩიოთ სოციალ-დემოკრატები?

(მოქალაქეთა საყურადღებოთ)

კაცობრიობის დიდძალ უმრავლესობას ძველის-ძველი დროიდანვე თან სდევს ტანჯვა-ვაება. ჩაგრულ-ტანჯულ კაცობრიობას ძველის-ძველის დროიდანვე თან სდევს იმედი და სასოება, რომ მას მოევლინება მხსნელი ძალა, რომელიც მიანიჭებს მშვიდობას და სათნოებას, კეთილდღეობას და ბედნიერებას. ამ მხსნელს, ამ მაცხოვარს, „მესსიას“, ტანჯული ხალხი მუდამ მიუწდომელ ზეციდან მოელოდა ხოლმე. იქ, ზეცაში, იგი მოკრძალებით და სასოებით აღაპყრობდა ხოლმე ხელებს, და მხურვალე ლოცვას აღავლენდა: ზენაარს შესთხოვდა მხსნელის მოვლინებას! და ზენაარსმაც თითქო უსმინა მას ვედრება: „ქრისტე მოუვლინა მაცხოვრათ! მოვედით ჩემდა, ტვირთმძიმენო და მაშვრალნო, და მე განგისვენოთ თქვენ!!.“ ასე მოუწოდა ქრისტემ ტანჯულთ, და, რომ მათთვის მართლაც მიენიჭებია კეთილდღეობა მწყემსმან კეთილმან დასდო თავი თვისი ცხოვართათვის,“ თავგანწირვით ებრძოდა ქრისტე ამა ქვეყნის ძლიერებს, ხალხის მჩაგვრელ მტარვალებს, დაუღალავათ ქადაგებდა რა ძმობას, სიყვარულს, თანასწორობას, და განუწყვეტლივ ამ სახით განაგრძობდა იგი თავის ბრძოლას და ქადაგებას, ვიდრე მტარვალებმა ბოლო არ მოუღეს მის სიცოცხლეს. „ღმერთ-კაცმა“ სიკვდილის შემდეგაც უანდერძა კაცობრიობას თვისი დიდებული მოძღვრება, მაგრამ ჯერ-კიდევ მრავალ საუკუნეებს უნდა განევლო, სანამ ეს მოძღვრება განხორციელდებოდა. კიდით-კიდემდე მოეფინა ქვეყნიერებას ქრისტეს მოძღვრება, მაგრამ კაცობრიობის ტანჯვა-წვალება-კი არა თუ არ მსუბუქდებოდა, პირ-იქით, სულ უფრო ძლიერდებოდა. „ღმერთ-კაცის“ ანდერძს ფეხქვეშ თელავდენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და ახალ-ახალი ხანა ახალ-ახალ ჯურის მტარვალებს მოუვლენდა ხოლმე ხალხს მტანჯველებათ. საშვალო საუკუნოებში მას ფეოდალები წოვდენ სისხლს, შემდეგში ასეთ სისხლის მწოვლათ მას მოევლინა ბურჟუაზია. ყოველთვის და ყველგან მას მუხრუჭს უჭერდა მთავრობა. ხალხის ასეთი ტანჯვა-შევიწროება ხშირათ იწვევდა მისგან წინააღმდეგობას, ასეთი მოძრაობის დროს ხალხს წინ უძღოდა ხოლმე თითო-ოროლა მეთაურები, რომლებიც თავს დებდენ ხალხის დასახსნელათ; მათთან ერთათ ხშირათ ათასობით იღუპებოდენ მათი მიმდევრები. როცა ხალხის შევიწროება უკიდურეს წერტილს მიახწევდა, მაშინ უკვე მთელი ხალხიც, როგორც ერთი კაცი, ისე აღსდგებოდა ხოლმე, და ასეთი საყოველთაო აჯანყება ბოლოს და ბოლოს აუცილებლათ ხალხის გამარჯვებით გვირგვინდებოდა, მტარვალები ერთი დაკვრით ძირს იმხობოდენ. მაგრამ... ახლა ძველი მტარვალების ადგილს ახალი მტარვალები იჭერდენ, და ხალხი ახლა ამათ უვარდებოდა ბრჭყალებში საყვლეფ-სატანჯველათ. ამ ნაირათ ხალხის ტანჯვა-ვაებას ბოლო არ უჩანდა, არსად ჩნდა ის მხსნელი, ის „მესსია“, რომელიც კაცობრიობას სამუდამოთ დაიხსნიდა ტანჯვისაგან, სამუდამოთ მიანიჭებდა ბედნიერებას.

მაგრამ ასეთი „მესსია“ უეჭველათ კი უნდა მოევლენილიყო, თვითონ კაცობრიობის ისტორიული განვითარება იყო ამის თავდები. კაპიტალისტურმა წეს-წყობილებამ თავისი წიაღიდან წარმოშვა ეს კაცობრიობის მხსნელი: მან შექმნა ის კლასი, რომლის აუცილებელი ისტორიული დანიშნულებაა—საბოლოოთ მოსპოს ყოველგვარი შევიწროება, ყოველგვარი ძარცვა-გლეჯა, ყოველგვარი ტანჯვა-ვაება.... ეს კაცობრიობის მხსნელი კლასი, ეს „მესსია“ არის **პროლეტარიატი**, მუშა ხალხი. თვით მისი ცხოვრება პროლეტარიატის, თვით მისი მდგომარეობა აუცილებლათ მოითხოვს მისგან, აუცილებლათ აიძულებს მას და კიდეც აძლევს სრულს საშვალებას ძირიან-ფესვიანათ ამოაგდოს თვით ბუდე ყოველგვარი ბოროტების, ყოველგვარი უბედურების. ეს ბუდე, ეს ბოროტების სათავე არის კერძო საკუთრება საწარმოვო იარაღ-საშუალებაზე და აი სწორეთ ამ ბუდის ამ ბოროტების, ამოსაგდებათ იბრძვიან დღეს ყველა ქვეყნის **პროლეტარები**. მაგრამ პროლეტარიატი არ იბრძვის მხოლოდ თვისი ინტერესების სასარგებლოთ. **საყოველთაო უბედურების ტახტის დამხობით ის აღმართავს საყოველთაო ბედნიერების ტახტს.** დღესაც-კი როდესაც ხალხის ტანჯვა-ვაების საბოლოოთ მოსპობა ჯერ კიდევ კარგა შორს არის წინ და როდესაც ბრძოლა წარმოებს უმთავრესათ ამ ტანჯვა-ვაების შესამსუბუქებლათ,—ჰო, დღესაც-კი პროლეტარიატი სრულიადაც არ იბრძვის მარტო თავის ინტერესების სასარგებლოთ. სრული პოლიტიკური თავისუფლება, საყოველთაო სწავლა-განათლება, ყველა მიწების ხალხის საკუთრებათ გადაქცევა, მუდმივი ჯარების მოსპობა, არაპირდაპირი გადასახადების გაუქმება, პირდაპირი გადასახადის შემოსავლის და გვარათ გაწერა, ეროვნული შევიწროების მოსპობა, რამდენათაც კი ეს შესაძლებელია დღესვე, და სხ. და სხ... აი რას მოითხოვს პროლეტარიატი დღეს-დღეობით. არც ერთ სხვა კლასს არ აქვს წამოყენებული ისეთი ფართო მოთხოვნები, როგორც პროლეტარიატს, და ამასთან არც ერთი სხვა კლასი არ იბრძვის ისე მედგრათ, ისე თავ-გამოდებით ამ მოთხოვნათა განსახორციელებლათ, როგორც პროლეტარიატი, თუმცა ყველა ეს მოთხოვნები არსებით საჭიროებას შეადგენს ხალხის დიდძალ უმრავლესობისათვის: გლეხებისათვის, ხელოსნებისთვის, წვრილ მწარმოებლებისთვის, წვრილ ვაჭრებისთვის და სხვა წვრილ მოქალაქეთათვის, **საზოგადოთ ყველა „წვრილი ხალხისათვის“**

და პროლეტარიატი არა მარტო ყველა სხვა კლასებზე უფრო წინ მიდის თავისი მოთხოვნებით, არა მარტო ყველაზე უფრო მედგრათ იბრძვის მათ განსახორციელებლათ, არამედ ის ყველაზე უფრო ადრეც გამოდის საბრძოლველათ ყველგან და ყოველთვის. მართლაც-და ვინ გამოვიდა ჩვენში ბრძოლის ველზე ყველაზე უფრო ადრე, ვინ მოიყვანა მთელი ხალხი მოძრაობაში და ვინ ჩაბერა მას ბრძოლის სული თავდაპირველათ? **პროლეტარიატმა და მხოლოდ პროლეტარიატმა!** იმ დროს, როდესაც მთელ ჩვენს ხალხს მონობის მძიმე უღელ-ქვეშ სული ხდებოდა, ათასგვარ გადასახადებისაგან და ბეგარისაგან ტყავი ძვრებოდა, მისი პიროვნება უღიერათ ფეხქვეშ ითელებოდა, და ის, სიცოცხლე-მოშხამული, მწარეთ გმინავდა, მაგრამ თვის შემავიწროებელთა წინააღმდეგ-კი კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავდა, ამ დროს პირველათ პროლეტარიატის მჭექარე ხმა გაისმა მედგრათ მიყუჩებულ ჰაერში. პროლეტარიატი ამაყათ და უშიშრათ **მარტოთ მარტო** გამოვიდა ბრძოლის ველზე საერთო მტერთან გასამკლავებლათ. მეტათ უსწორო, მეტათ თავგანწირული იყო ეს ბრძოლა. მტრის უზარმაზარ ძალასთან დაპირდაპირებული ერთი მუჭა პროლეტარიატი თუმცა დარწმუნებული იყო—მტერს ბევრს ვერას დააკლებდა და თვითონ-კი მისგან დიდი ზარალი მიადგებოდა, მაინც მედგრათ მუშტებ-მოღერილი გაბედული მიიწევდა წინ მტრისაკენ, და, თუმცა ეს გაბედულება მას მეტათ ძვირათ უჯდებოდა, ათას გვარ ტანჯვა-წვალებას აყენებდა, ხშირათ, ძალიან ხშირათ სისხლს აღვრევინებდა, სიცოცხლესაც-კი ასალმებდა, ის მაინც კიდევ წინ მიიწევდა, ერთი წუთითაც უკან არ იხევდა. დიდხანს იბრძოდა პროლეტარიატი ასე თავ-განწირვით მარტოთ-მარტო, და თუმცა ის იმ თავითვე მთელი ხალხის საკეთილდღეოთ ეწეოდა ამ ბრძოლას, ხალხი მაინც დიდხნობამდე თითქო ვერ ბედავდა მხარი დაეჭირა მისთვის ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატს ვერც ხალხის ასეთი გულგრილობა უნელებდა ბრძოლის მისწრაფებას! ის დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან მთელი ხალხი გვერდში ამოუდგებოდა მას, და ამ რწმენით აღფრთოვანებული ის კვლავ განაგრძობდა ბრძოლას და არა თუ განაგრძობდა, სულ უფრო ენერგიულათ, სულ უფრო ფართოთ და მტკიცეთ ეწეოდა მას. და იმ დროს, როდესაც ჩვენში არსად ჯერ რაიმე პარტიის ჭაჭანებაც-კი არ იყო, პროლეტარიატმა უკვე თავისი პარტია დააარსა,—დააარსა **სოციალდემოკრატიული პარტია.** აი რა არის და საიდან წარმოსდგება სოციალდემოკრატიული პარტია! ეს არ არის თითო-ოროლა ინტელიგენტების მოგონილი და მათგან შემდგარი პარტია. ეს პარტია უმთავრესათ თვით ცხოვრებამ წარმოშვა, უმთავრესათ თვით მუშებისაგანაა შემდგარი. რასაკვირველია, ამ პარტიის დაარსებაში მუშებს თითო-ოროლა ინტელიგენტებმა დიდათ შეუწყვეს ხელი, ამ პარტიაში თითო-ოროლა ინტელიგენტებიც შედიან, მაგრამ-ჯერ ერთი ასეთ ინტელიგენტების რიცხვი პარტიაში მეტათ მცირეა მუშების რიცხვთან შედარებით, მეორეც—ეს ინტელიგენტები თავიანთი მდგომარეობით და მით უმეტეს რწმენით და მისწრაფებით ყველაზე უფრო უახლოვდებიან პროლეტარიატს. აშკარაა—სოციალდემოკრატია პროლეტართა პარტიაა, სოციალდემოკრატი—ეს თავდაპირველათ და უმთავრესათ თვით პროლეტარია, თვით მუშაა, ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული მუშა.

მაგრამ მუშათა პარტიის დროშა, როგორც დავინახეთ, მეტათ ფართოა, ეს მთელი ჩაგრული კაცობრიობის დროშაა, ყველა „წვრილ ადამიანთა“ თავშესაფარია, რადგან მხოლოთ სოციალდემოკრატია თავგამოდებით და ნაყოფიერათ იცავს ყველა შევიწროებულთა ინტერესებს. პროლეტარიატს გარდა, სხვა „წვრილი ხალხი“ მოკლებულია საშვალებას საკუთარი ძლიერი პარტია დაიარსოს და ამის გამო მათ ხან ერთი ბურჟუაზიული პარტია იტყუებს თავისკენ, რო მათი მიმხრობით თვითონ გაძლიერდეს, ხ მეორე,—იტყუებენ და იმხრობენ ათასგვარ „მოწყალების“ დაპირებით და შემდეგ როცა, მათგან თეთრი კენჭების მიღებ წელს გაიმაგრებენ და გაძლიერდებიან,— თავიანთ დაპირებას ჩაილურის წყალს და ლევინებენ ხოლმე, თავიანთ ჯიბის გასქ ლებლათ იყენებენ და თავიანთ „წვრილ ამომრჩეველთა ინტერესებს-კი ფეხ-ქვეშ ლავენ. მხოლოთ მუშათა სოციალ-დემოკრა ტიულ პარტიის სასარგებლოთ მიცემული კენჭი არ იკარგება ასე ფუჭათ, ასე სა რალოთ ამომრჩეველთათვის, პირ-იქით, უკანასკნელთ თვის მიერ მიცემული ათათ უბრუნდებათ უკან.

აი, მოქალაქენო, რატომ **უნდა აირჩიოთ სოციალ-დემოკრატები, მხოლოთ სოციალ-დემოკრატები, თუ არ გსურთ დაღუპვა თქვენივე ინტერესები!**

ვალენტინი.

პოლიტიკური მიმოხილვა

რა გზას დაადგება სათათბირო?

თუ რა როლს შეასრულებს სათათბი დღევანდელ რევოლიუციაში, ეს უმთავ სათ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგო შეხვდება მას ხალხი, თუ როგორი ი ამ უკანასკნელის სულიერი განწყობილ სათათბიროს მოქმედების დროს. რაც უ რო ამ დროს ხალხი რევოლიუციონუ იქნება მომართული, მით უფრო ის ც ველი ინტერესით მოეკიდება სათათბირ და მის მოქმედებას, მის ბედ-იღბალს, მ უფრო მედგარ და რევოლიუციონურ მ თხოვნებს წარუდგენს მას, მით უფრო რ ვოლიუციონურ მოქმედებას მოითხოვს მ განაც და სათათბიროც მით უფრო გაბ დვით, მით უფრო მედგრათ და რადიკალ რათ დაიწყებს მოქმედებას; ერთი სიტყვ რევოლიუციონურათ ამოძრავებულ ხალხ მძლავრი ზედ-მიწოლა და ძალდატან აიძულებს სათათბიროს მანაც რევოლი ციონური როლი ითამაშოს და დამფუძნ ბელი კრება მოიწვიოს. რასაკვირველ სათათბიროს ასეთი თუ ისეთი მოქმედ დამოკიდებულია იმაზედაც, თუ როგორ სათათბიროს შედგენილობა, რა ხალხისგ შესდგება იგი. მაგრამ დღეს უკვე ყოვ ეჭვს გარეშეა, რომ სათათბირო შემდგ იქნება უმეტეს ნაწილათ ოპოზიციონ ელემენტებისაგან: ე. ი. ისეთ პირთაგ რომლებიც უფრო ნაკლებ მოისურ ბენ წინააღმდეგობა გაუწიონ რევ ლიუციონურ ხალხის მოთხოვნებს. მით უმეტეს მხარს დაუჭერენ ი ხალხის მოთხოვნებს, რომ, როგორც უ ნასკნელ (დეპუტატების) არჩევნების ირკვევა, სათათბიროში საკმაოთ ძლ პარტია ეყოლებათ გლეხებს, რომლებ თავიანთ დეპუტატებათ, ერთი მხრით, გნებული გლეხები აურჩევიათ, მეორე მხ კი, წმინდა დემოკრატიული ინტელიგენ ბი, გლეხთა წრიდან გამოსულნი და მათ მათ საკეთილდღეოთ მომქმედნი. მაშ,

---

ფელეტონი

* * *

(ვუძღვნი ტუსაღებს)

დე, ჩავიდეს დღის მნათობი
მკვდრურათ მთვარე გვრჩება,
თანვე ახლავს ჰარფარეში
და ურიცხვი ვარსკვლავთ კრება!..

—

თუმცა სუსტათ მაგრამ მაინც,
წყვდიადს ძალა მოაკლდება!..
ეგ ბუნების წესი არი,
ამას კანონ-დებულება!..

—

[illegible] ბუ-ჭოტებმა
შემოსძახონ სევდის ხმები,
გაამრავლონ ციხე, ტყვეთ,
სახრჩობელა-ჯალათები!..

—

გმირთა რიცხვი საკმაოა,
ერთს ამწყვდევენ—ასი რჩება!
ეგ ბუნების წესი არი,
ამას კანონ-დებულება...

—

მოვა დრო—და კანთიადიც
მედიდურათ დასძრავს ნავსა,
სხივებს სტყორცნის ჯოჯოხეთურს
საშინელ სანახავს!..

—

ელვა ღრუბლის მკერდს
გაუტარებს ცეცხლის ისრებს,
და დაუნგრევს უნდობლათ
იმ ჯალათებს გულის ფიქრებს...

—

მაშინ მაინც გაუქმდება
მტარვალთ კანონ-დებულება!

და ჩვენც რწმენით იქით გავსწევთ...
სად გმირები გვეგულება!

—

და შევძახებთ ძლევის ხმებსა:
აღსრულდა—თქო ხალხის ნება!
თან გაჩვენებთ ძლევის დროშას,
ძმათ სისხლით რომ შეიღება...

—

დღეს გმირები საკმაოა,
ერთს ამწყვდევენ—ასი რჩება...
ეგ ბუნების წესი არი,
მტკიცე კანონ-დებულება!..

ილონი

ქუთათური კადეტების

ანუ

„დავითაების“ პარტიის ცხოვრებიდან.

(დავითის დღიური)

19 აპრილი. ღმერთმა რომ ქუთაისი გააჩინა, პირ-ჯვარი გადასწერა და უთხრა: „შენ დიდი ახირებული ქალაქი იქნებიო.“ უზენაესი თქმულება დღითი დღე მართლდება... მთელს რუსეთში კადეტები იმარჯვებენ და აქ მგონი ფეხი გვეშლება. ჩვენმა პარტიამ ოთხი დავითის კანდიდატურა წამოაყენა. ოთხი დავითი!.. ეს რაღაცას უეჭველათ მოასწავებს. დიდიმ ჩაყვაიძე მეტის მეტათ გულ ნატკენია, კალისტრატეს გვერდი რათ აუქციესო. არც გამტყუნება: რა ქნას, ძმა არის და გულსა სწვავს. არჩევნების დღე კარზე მოგვადგა. ხალხი ჯერ კიდევ ალმაცრივ გვიყურებს, მაგრამ ყოველივე ეჭვების გასაფანტავათ **„ხალხის თავისუფლების“** პარტია დავირქვით. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ დროზე მოიგონება“...

20 აპრილი. ჩვენი პარტიის ბიურო ჯარასვეთა ტრიალებს. ერთი მშვენიერი პროკლამაცია შეიმუშავა ხალხში გასავრცელებლათ და ალიხანოვს გაუგზავნა ხელის მოსაწერათ. რომ იცოდეთ რა ლმობიერი, ქველმოქმედი და გულ-ჩვილი კაცი ყოფილა ეს ალიხანოვი!!! საწყალი ხალხისათვის ჩვენზე ნაკლებ როდი შესტკივა გული! თუ ხანდისხან და აქ-იქ გადასწვავს სოფლებს ან გააოხრებს არე-მარეს, ეს მეტის-მეტი გულშემატკივრობით მოსდის. კეთილი მამა ყოველთვის ტუქსავს საყვარელ შვილს. ჩვენი პროკლამაცია მშვენიერი რამ შედგენილი იყო და მშვენიერი ხელ-თაც გადავაწერიეთ. ჩვენს კანდიტატებს მთელი ქუთაისი იცნობს! **დავით ნიჟარაძე,** მაზრის მარშალი, ძალიან ზორბა კაცია. თავად-აზნაურობის მიერ გაგზავნილ უქვეშევრდომილეს მოხსენების შედგენაში უმთავრესი როლს თამაშობდა. სხვაც ბევრი უქნია ასეთი საქმეები. წარმოსადეგი და ტანადი კი ძალიან არის... მთელს დუმას დაამშვენებს. **დავით ლორთქიფანიძე** მთელი ქვეყნის ქალაქის თავებში, გარდა სოხუმისა და ოზურგეთის თავებისა, უშესანიშნავესი თავია. აი ამ წინაზე პოლიციის გასაძლიერებლათ მისდამი რწმუნებულ ქალაქში, რამოდენიმე ათასი მანეთი მოითხოვა. როგორც რევოლიუციონერი ერთობ მოხერხებულია, მაგალითათ: შემოდგომაზე გაფიცვების და ბარიკადების დროს სადღაც გაიპარა, მაგრამ როცა დაბრუნდა ჯამაგირი მაინც მიიღო.

დავით კვირკველია. ოო!.. ეს ქუთაისში ყველაზე უფრო ცნობილი და მოხერხებული ვექილია. რევოლიუციონურ მოძრაობაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის, რადგან სამი წლის წინათ ბულვარში ყაზახ-რუსებმა სცემეს.

დავით მიქელაძე, ხომ ყველასაგან ცნობილი პუბლიცისტია ძველი, ჰაჭაჭაძისეული „ივერიისა.“ სწერდა „მეველის“ ფსევდონიმით და შესანიშნავია მით, რომ გრძლათა და უშინაარსოთ უყვარდა წერა. მაგას ქალაქში უფრო იცნობენ, ვიდრე აქ.

ბიურომ გადასწყვიტა კალისტრატე, დიდიმის ძმა, შორაპანში გაგზავნოს. ეს უსამართლო განაჩენია... მისი ახალგაზდობა აქაური ბანკის კეთილდღეობას შესწირა, ამდენი ამაგი მიუძღვის და განა ასე უნდა მოიძულონ?.. ტყუილათ კი არ ცხარობს დიდიმი!..

21 აპრილი. სწორეთ დაგვკლა ჯამსუყმა, სწორეთ ყელი გამოგვჭრა. ჩვენს პროკლამაციაზე არც მან მოაწერა ხელი და არც ალიხანოვს მოაწერია. ასეთ დროს ღალატი შეიძლება?!.. უჰ, რა სასტიკი კაცი ყოფილა ეს ალიხანოვი!.. ტყუილი ყოფილა, რომ ამბობდენ კადეტიაო.

სრულიად უმიზეზოთ გვისაყვედურებენ, თქვენი პარტია მარტო თავადების პარტიააო. დიახ თავადების პარტიაა, მაგრამ ეს ხომ პარტიის სიწმინდეს ნიშნავს? და პარტიის სიწმინდე მოსაწონია. ძველათ ხალხს განა მარტო თავადები არ ათავისუფლებდენ! განა ფედერალისტებს ცოტა ყავთ თავადები?!

საშიშარო ნიშნები... მგონი პარტიაში ღალატმა იჩინოს თავი. როცა გლეხებმა სოციალდემოკრატები ამოირჩიეს, ჩვენს კანდიდატს დავით მარშალს ეთქვა: „ჰრ მწყენია ძმობას გეფიცებით. კადეტები კაბინეტის ხალხიაო.“ კიდევ კარგი რომ გლეხებში უთქვამს.

ფედერალისტებთან ბლოკის საქმე რაღაც არ წყდება. გულში ისინიც თითქმის კადეტები არიან. საერთო პროგრამის შედგენა ვურჩიეთ, მაგრამ არ მიიღეს.

22 აპრილი. სრულიად შემთხვევით სასიამოვნო ამბავს გადავეყარე. ძველი „კავკა დან გავიგე, რომ ეს პატივცემული გა თურმე ჩვენი ორგანო ყოფილა, „შრო ძალიან აგვექიატა: თქვენმა პარტიის რებმა **უქვეშევრდომილესი** მოხსენება შეადგინესო. განა დასავლეთ საქართველ აოხრება ასე გაგიხარდათო? ოჰ, უმეცრ უმეცრებავ! ჩვენი პარტიები ჯერ კ შორს არიან პოლიტიკური სიმწიფი ნუ ცხარობთ ბატონებო, ნუ ცხარობთ უქვეშევრდომილესი მოხსენება ჩვენი ტიის ჯავშანია, ფარია. მაგრამ თქვენ დიპლომატია უცხო ხილი ყოფილა.

დიდიმი კიდევ ვერ შერიგებია კალი რატეს შორაპანში გადაყვანას და ფ აგიტაციას ეწევა. „ძმა ძმისთვისაო“, იტყვიან, ზე გამოჭრილია.

23 აპრ. ი. (გიორგობა). ერთი გიო მაინც გვყავდეს პარტიაში?.. დიდი იყოს მართლაც მარტო დავითებს მ რია თავი, სამაგიეროთ ფედერალის ყავთ გიორგი. წმინდა გიორგი თურმე თველი ყოფილა... გიორგი ზღაპრის მარტო დედით არის ქართველი.

გული მიწუხს, სოფლებში ყველგან ციალ-დემოკრატები იმარჯვებენ. საშ ლია ამ გლეხ-კაცების საქმე: ვერც ვერც აოხრებამ, ვერც ცარიე ვერც სიკვდილმა, ვერ შეაშინა. თუ გაიმარჯვეთ, ისიც ალიხანოვის იქნება. უჰ, რა დაღალული ვარ... აგიტაცია მომკლის...

აქ დროებით დავითის დღიური ის ზანტი ნაბიჯით გავიდა მეორე რომ ხვალიმდი დავიწყებას მიეცეს ლი, თავ-დაქნეული ძილი თვალებს და სამუდ ოცნებისაკენ იტაცებს გრძნობა-გონებას.

კითხი ის არის, თუ რამდენათ რევოლიუციონურათ იქნება ხალხი განწყობილი სათათბიროს მოქმედების დროს. ყველა ნიშნებია, რომ ეს განწყობილება ძლიერ რევოლიუციონური იქნება. ასეთი ნიშანი უოვლის უწინარეს თვით ის ფაქტია, რომ რუსეთის გლეხები უმეტეს ნაწილათ თავიანთი ინტერესების საიმედო დამცველთ ირჩევენ; ისინი იძახიან: ჩვენ ბატონები არ გვინდა, არც ხუცები, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ნამდვილი გლეხები, ან ისეთი ნასწავლები, რომლებმაც ჩვენი გაჭირვება იციან და სათათბიროში ჩვენთვის თავს გამოიდებენო; ამასთან გლეხები სასტიკათ ავალებენ თავიანთ წარმომადგენლებს: თავისუფლების და მიწის მოუპოვებლათ უკან არ დაბრუნდეთო. გლეხების ასეთ მტკიცე და მედგარ გადაწყვეტილებას სათათბირო, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ ყველაზე უფრო ცხადი მომასწავებელი სათათბიროს მოქმედების დროს რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერებისა ის არის, რომ უკვე დღესვე რუსეთის მრავალ გუბერნიებში აგრარული მოძრაობა მეტის-მეტათ მწვავდება, ხოლო ქალაქებში კი ძალიან ბევრგან მუშათა გაფიცვები სულ უფრო ხშირდება და ძლიერდება. მარტო 1-ლ მაისის გაფიცვა აშკარათ მოწმობს, რომ მუშათა რევოლიუციონური განწყობილება მეტათ მაღლაა აწეული.

მაშ ვნახოთ, რას გვიჩვენებს სულ ახლო მომავალი! რას გვიჩვენებს სათათბირო!

მთელი რუსეთის კაპიტალისტები შეერთდენ!

რუსეთის კაპიტალისტებს ძველი მზრუნველ-პატრონი, ძველი აპეკუნი — თვითმპყრობელობა უკვდებათ. ეს აპეკუნი მათ თითქმის არასოდეს არ აკლებდა მამაშვილურ მზრუნველობას: აწესებდა მათი ჯიბის გასასქელებლათ უშველებელ ბაჟებს, აძლევდა მათ სახელმწიფო სუბსიდიებს და „ზაკაზებს", შტიკებით ერთგულათ იცავდა მათ მუშების მხრივ თავდასხმისა და „შეწუხებისაგან" და სხ. და სხ... მაგრამ თვითმპყრობელობის ასეთი სამსახური კაპიტალისტებისათვის, ცოტა არ იყოს, დათვური სამსახური გამოდგა: სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ბიუროკრატიის აპეკუნობამ ისე გაანებივრა, ისე გარყვნა კაპიტალისტები, რომ ამათ თითქო სრულიათ დაავიწყდათ თავის თავზე ზრუნვა, თავისი ინტერესების თავისივე ძალღონით დაცვა, და იმ დროს, როდესაც მათი დაუძინებელი მტრები—მუშები მათთან საბრძოლველათ მტკიცე კავშირებს, ორგანიზაციებს აარსებდენ, კაპიტალისტები მთავრობის მოწყალებაზე, მის შტიკებზე ამყარებდენ იმედებს მუშების ასალაგმავათ და თვითონ კი ერთმანეთთან შეკავშირებაზე არც კი ფიქრობდენ. და აი დღეს მათ აპეკუნი უკვდებათ! დღეს თუ ხვალ ისინი თავის ანაბარათ დარჩებიან. კლასობრივი თავის დაცვის ინსტიქტი მათ დაჟინებით ჩასძახით: შეერთდით, თქვენც მუშებივით შეერთდით, თორემ დაიღუპებითო! მართალია, მათ შეუძლიათ სრული იმედი იქონიონ, რომ დღევანდელ მთავრობის მოსპობის შემდეგ პოლიტიკურ ძალა უფლებას თითონ ჩაიგდებენ ხელში, მაგრამ რაც უფრო ისინი წინდაწინ ნაკლებ შეკავშირებული იქნებიან, მით უფრო ბევრ პოლიტიკურ ძალა-უფლებას გაიზიარებს მათგან ხალხი და, მაშასადამე, მით უფრო გაუძნელდება მათ მუშებთან ბრძოლა და თავიანთი კლასობრივი ინტერესების დაცვა. მაშ, შევერთდეთ, ძმებო, საჩქაროთ შევერთდეთო! გასძახეს ერთმანეთს კაპიტალისტებმა რუსეთის ერთი კიდიდან მეორემდე და ის იყო შეერთდენ კიდეც: დააარსეს სრულიათ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო სიეზდი. ამიერიდან მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი ბურჟუაზიული პარტიებიც შეერთდებიან და, თუ დღემდე ეს პარტიები როგორღაც ვერ ხეირობენ (ხოლო ერთი მათგანი—სავაჭრო-სამრეწველო პარტია სულაც დაიშალა), დღეის იქით ისინი ერთ პარტიათ შეერთებულნი უკვე ზორბა ძალას მოიპოვებენ. ამიერიდან, მაშასადამე, მთელ რუსეთის შეერთებულ პროლეტარიატს მთელი რუსეთი შეერთებული ბურჟუაზია დაუპირდაპირდება და მათ შორის ბრძოლა ერთი-ორათ გამწვავდება. ამიერიდან რუსეთის პროლეტარიატს და მის პარტიას—სოციალდემოკრატიის მართებს ერთი-ორათ გააძლიეროს და განამტკიცოს თავისი ორგანიზაცია. მთელი ბურჟუაზია ემზადება მის შესამუსრავათ!

პომეშჩიკებიც შეერთდენ!

წყეული სოციალდემოკრატია და პროლეტარიატი არ კმარობენ ქალაქის ბურჟუაზიასთან ბრძოლას, და სოფლის ბურჟუაზიასაც—პომეშჩიკებსაც კი მოსვენებას არ აძლევენ. და თუ ქალაქის ბურჟუაზიამ შეიგნო, რომ სოციალდემოკრატიასთან და პროლეტარიატთან საბრძოლველათ საჭირო ძალა „ერთობაშია", და შეერთდენ კიდეც, კურლიანდიის გუბერნიის პომეშჩიკებსაც შეუგნიათ ეს და ისინიც შეერთებულან. დაუარსებიათ კავშირი სოციალდემოკრატიასთან, პროლეტარიატთან და... ქურდებთან საბრძოლველათ! ქურდების სახელით, პომეშჩიკები ალბათ იმავე სოციალდემოკრატებს და პროლეტარებს ნათლავენ, რადგან ესენი კერძო საკუთრების „წართმევას" ცდილობენ, თუმცა ქურდები ნამდვილათ რომ ვთქვათ, თვით პომეშჩიკები ბრძანდებიან, რადგან მათი სიმდიდრე მუშის ნაოფლარ-ნაამაგარია, მაგრამ კავშირს თავის თავთან საბრძოლველათ ხომ არ დააარსებდენ,—ასე რომ სიტყვა „ქურდის" ჩართვა თავიანთი კავშირის სახელწოდებაში მხოლოთ სიბრიყვით მოსვლიათ. კავშირის წევრნი მოვალე არიან ძებნონ სოციალდემოკრატები და „ქურდები" და გადასცენ ხოლმე პოლიციას. თუ რომელსამე წევრთაგანს ზარალი მოუვა არეულობისაგან, დანარჩენი წევრები ვალდებული არიან უზღონ მას ზარალი.

აი კლასობრივი ინტერესების და მოქალაქობრივი მოვალეობის შეგნებაც ასეთი უნდა!

ვიტეს დემოკრატობა.

დიდი დემოკრატი კაცი ყოფილა ვიტე! იმის მიუხედავათ, რომ კაცი ბრწყინვალე გრაფი და დიდებული მინისტრ-პრეზიდენტია, ვილაც წვრილფეხა, „ჩათლახ" ჩინოვნიკებს უყადრებს თავს და, წარმოიდგინეთ, დამცირებასაც კი იტანს მათგან. გუშინ მოხსენებული გვქონდა, რომ ვიტემ სევასტოპოლის კომენდანტს მიმართა თხოვნით და ამან კი არ შეიწყნარა ეს თხოვნა. ვიტემ სულგრძელათ აიტანა ეს, როგორც ნამდვილ დემოკრატს და ლიბერალს შეჰფერის. კომენდანტი კიდევ კარგა მოზრდილი ბობოლაა! ვიტე თურმე პრისტავებსაც კი მიმართავს ხოლმე თხოვნით. როცა მისგან ვილაცებს სათათბიროს წევრების ციხიდან განთავისუფლება მოუთხოვიათ, იმის მაგივრათ, რომ მას დურნოვოსთვის მიეცა წინადადება მათი განთავისუფლების შესახებ (რადგან ისინი დურნოვოს განკარგულებით არიან დატუსაღებული), ჰო, ამის მაგივრათ ის ვილაც პოლიციის დაბალ მოხელეებს, ერთ შემთხვევაში პრისტავს (ოდესისას) თხოვს (მერე რა თავის დამცირებით, რა თავაზიანობით თხოვს თურმე!): „უკეთუ შესაძლებელი იყოს" ესა და ეს ტუსაღები გაათავისუფლეთო". და, წარმოიდგინეთ, პრისტავის თავხედობა: „არ შემიძლია, გენაცვალეო", ასე მოჭრით და თან ასე თავის გატოლებით უთქვამს უარი ბრწყინვალე გრაფისათვის, დიდებულ მინისტრ-პრეზიდენტისათვის! მოდი და ამისთანა ბრიყვს თავი გაუყადრე!

მაგრამ ნეტა ვიტეს რათ ჭირდება ეს კომედიების თამაში?!

პოლიციისათვის ჯამაგირების მომატება.

რა ეშველებოდა მთავრობას, პოლიცია რომ არ ყოლოდა? რევოლიუცია ამდენ ხანს, ვინ იცის, რამდენჯერ დაანგრევდა თვითმპყრობელობას! პოლიცია სწორეთ „შეურყეველი" დედაბოძია თვითმპყრობელობის და მთავრობაც ღირსეულათ აფასებს მის ამაგს: საქალაქო და სამაზრო პოლიციას მეოთხედ ჯამაგირს უმატებს. სულ ეს მოწყალება მთავრობას წელიწადში 900 ათასი მან. უჯდება. ამნაირათ ამდენ ახალ ხარჯს უმატებს მთავრობა პოლიციის სასარგებლოთ იმ დროს, როდესაც ხაზინა თითქო გამოცარიელებული აქვს და ხალხის უპირველეს საჭიროებაზე არა თუ მეტს აღარ ხარჯავს, არამედ რასაც ხარჯავდა, იმასაც უკანასკნელ მინიმუმამდე ამცირებს. და ასე პოლიციას და საზოგადოთ ყველა თავის ერთგულ მსახურ-აგენტებს ჯამაგირებს უმატებს იმ დროს, როდესაც მისი არსებობის დღენი უკვე დათვლილია. მაგრამ ან კი ეს მას ხომ არ სჯერა?! პირ-იქით, ის დარწმუნებულია, რომ პოლიციის გაძლიერებით თავის არსებობის დღეებსაც გააგრძელებს,—ამაში ის იმდენათ დარწმუნებულია, რომ თითქო ვერც კი წარმოუდგენია, თუ სახელმწიფო სათათბირო როგორ გაბედავს გადაუხვიოს მის ნება-სურვილს და როგორ შესძლებს ხელი შეუშალოს პოლიციისათვის ჯამაგირების მომატებას. მთავრობა კანონით უკრძალავს ამას სათათბიროს! მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ ასეთი წინააღმდეგობის გაწევისათვის თვით სათათბიროს სულ კინწის კვრით დაიფრენს იმავე პოლიციის და ჯარების შემწეობით.

დეპეშა

(საკუთარის კორესპოდენტისაგან)

ოზურგეთი. კენჭი უყარეს სახელმწიფო დუმის ამრჩევლებს თედორე კიკვაძეს და ხუნდაძეს. პირველმა მიიღო 194 თეთრი ხმა, მეორემ 106. კიკვაძე სოციალდემოკრატია.

ახალი ამბები

◆ **რ. ს.-დ. მ. პ. სიეზდი**. შვეიცარიაში უკვე შეიკრიბენ დელეგატები რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის სიეზდზე. „უმცირესობის" ფრაქციას მეტი წარმომადგენლები ყავს (18 ხმით). ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ „მეუმცირესეებს" მეტი ორგანიზაციები აქვთ, („რ. ვედ.").

◆ ჩვენ ხელში ჩავვარდა „ანარქისტ-კომუნისტთა" ფურცელი ქართულ და რუსულ ენაზე დაბეჭდილი. აი ამ ფურცლის შინაარსი: „ანარხისტ-კომუნისტთა ჯგუფმა დაადგინა: გადაიხადოთ 200 მანათი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენი ერთ-ერთი ამხანაგი იქნა დაჭერილი თქვენგან, ან თუ არ იქნა ფული გადახდილი, მიცემული იქნებით რევოლიუციონურ შურის ძიებას, ანუ სიკვდილით დაისჯებით''. რუსული ტექსტი კიდევ უფრო ცუდათაა დაწერილი. ფურცელს ხელს აწერს ჯგუფი ,,შავი ყორანი''.

◆ ერევნიდან გაზეთ „კაიწ"-ს ატყობინებენ, რომ დაშნაკელებსა და ჰნჩაკელებს შორის ურთიერთობა გამწვავებულია, ხშირათ ერთი მეორეს სცემენ. 12 აპრილს დაშნაკელებმა ჰნჩაკისტს სცემა.

◆ **სომეხ-თათართა შეტაკების დროს** „მირის" ფაბრიკიდან სხვებთან ერთათ ერთი თათარი მუშა წავიდა. შერიგების შემდეგ მუშა ფაბრიკაში სამუშაოთ მობრუნდა, მაგრამ სომეხი მუშების ერთი ნაწილი წინააღმდეგი გახდა თათრის მიღებაზე. ხაზეინმა თათარს წინადადება მისცა, რომ ერთბაშათ 25 მ. წაეღო, მაგრამ საუბედუროთ ეროვნული ბაცილებით გადენთილი სომხის მუშები ამასაც წინააღუდგენ. ასეთი შემთხვევა ადელხანოვის ქარხანაშიაც მოხდა, მაგრამ მუშებმა დიდი პროტესტი გაუცხადეს ხაზეინს და მოსთხოვეს, რომ თათარი მუშა ან მიეღო, ან და ცამეტი თვის ჯამაგირი ერთბაშათ მიეცა. სასურველია, რომ „მირის" ფაბრიკის მუშები ადელხანოვის მუშებს მიბაძავდენ („კაიწ.").

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ დუშეთის ხაზინის დაცვა მოხსნეს კავკასიის სამხედრო შტაბის **ყალბი ბრძანების** ძალით. ამ ყალბ ბრძანებაში სხვათა შორის წინადადებას აძლევდენ პოლკოვნიკ დიკს, რომ არ დაექსაქსა ძალა და ღარაჯები არ დაეყენებია ისეთ დაწესებულებისათვის, რომელსაც საკუთარი დამცველი ყავს, როგორც მაგალითათ ხაზინა. ეს ქაღალდი საგანგებო შიკრიკით გაეგზავნა მცხეთის ბოქაულს სულხანოვს, რომელმაც გაუგზავნა პოლკოვნიკ დიკს. პროკურორი ხელმეორეთ გაემგზავრა დუშეთში. („ვ. პ.").

◆ **ჩხრეკა**. როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, 16 აპრილს ქალაქს ალყა შემოარტყეს და ჩხრეკა დაუწყეს კვალის მისატანათ ხაზინის ქურდებზე. ერთ ოჯახში აღმოაჩინეს სალდათის ტანთსაცმელი, მაგრამ ეს ტანსაცმელი ეკუთვნოდა დუშეთის საპყრობილეში დაპატიმრებულ გ. ლაზარევს, რომელიც ჯარის კაცათ მსახურებს პოლკში.

◆ **ოზურგეთის მაზრის უფროსი**. როგორც „ჩ. ვ."-ს გაუგია, ოზურგეთის მაზრის უფროსათ ინიშნება პლასტუნთა ბატალიონის შტაბს-კაპიტანი ერმოლოვი.

◆ **მემამულის მოკვლა**. ლანჩხუთში მოუკლავთ მდიდარი მემამულე სილიბისტრო წილოსანი. მკვლელი დაიმალა.

◆ ის ადგილი გაუთხრიათ, სადაც ავლაბრის **საიდუმლო სტამბა აღმოაჩინეს**, ხოლო როსტომაშვილის სახლი დაუნგრევიათ.

◆ ამას წინეთ **გაიფიცენ** შარაძის სტამბის ასოთ-ამწყობნი. გაფიცვა გუშინ ასოთამწყობების გამარჯვებით გათავდა.

◆ მას შემდეგ რაც სხვადასხვა ადგილებში **ბანკებზე დაცემა** გახშირდა, თფილისის ბანკებს ყველგან გაძლიერებულათ იცავენ.

◆ **თფილისის მუზეუმისთვის** ახალ შენობის ასაგებათ ნამესტნიკმა დანიშნა ახალი კომისია გაკელის თავმჯდომარეობით.

◆ **ნამესტნიკის კანცელარია** დეპეშით შეეკითხა ყველა გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს—საჩქაროთ შეატყობინონ—რა დღესაა მათ-მიერ დანიშნული საგუბერნიო, თუ საოლქო ამრჩეველთა სიეზდები „დუმის" წევრთა ასარჩევათ.

◆ იბეჭდება და მაისის უკანასკნელ რიცხვებში გამოვა რენანის ცნობილი თხზულება „ქრისტეს ცხოვრება", თარგმანი ი. ეკალაძისა, ფასი 50 კაპ.

ადგილობრივი პრესა.

—

გაზ. „შრომაში" (№№ 14, 15) გაჭიმულია ბ-ნ ეგვიტიშვილის ვეება წერილი მიმართული „ელვის" ერთი სტატიის *) წინააღმდეგ.

ჩვენ აქ არ განვიხილავთ მოკამათის ყველა ლათაიებს. საკმაოა აღვნიშნოთ წერილის ორიოდე ადგილი, რომ მკითხველმა უკვე დაინახოს, თუ ვისთანა გვაქვს საქმე.

არ შევეხებით აგრეთვე მოკამათის „ენაწყლიანობას", როცა მოპირდაპირეს ასე მიმართავს: „ჩვენ ბრმანი და ბრიყვნი არა ვართ, რომ გურულ გულუბრყვილო გლეხების ჩოხის კალთაში მელიასავით ამოფარებული ვერ დაგინახოთ და თქვენ სახეზე აღბეჭდილი ცბიერება ვერ შევამჩნიოთ!.. თქვენ ქნარს ისე აჭნევთ (?) და გულუბრყვილო გლეხების ზურგზე ყირამალას გადადიხართ და სხვა და სხვ."

ხოლო თავის თავს ბ-ნი ეგვიტიშვილი ასეთ რეკომენდაციას უკეთებს: „ჩვენ გვწამს ყოველივე ესენი (ავტონომია და მისი სარგებლობა. თითქოს ავტონომია ეგვიტიშვილის მონოპოლია იყოს), გვწამს და კიდეც გვეწამება (არავინ გიკრძალავთ) იმიტომ კი არა, რომ თითქოს თქვენსავით პოლიტიკურ ბლოკით ვიყვენით გატაცებული, (ალლაჰმა უწყის რა ბლოკზე ლაპარაკობს) და ხალხის მეტიჩარა იდეოლოგობა (?!) გვსურდეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ხალხის ვაი-ვაგლახი, სიბეჩავე და სიდუხჭირე გვაინტერესებს,—იმიტომ, რომ ჩვენი სიმპატია-სიყვარული ჩაგრულ და მაშვრალ ხალხისადმი არის მიმართული... და სხ. და სხ.". მოკამათე გაუთავებლივ აქებს-ადიდებს თავის თავს და ძაგებს ქართველ სოციალდემოკრატებს, რომელთაც უწოდებს „მშრომელ ხალხის ყალბ წარმომადგენლებს". ბ-ნ ეგვიტიშვილს თავის თავის სადიდებლათ უფლება მოუპოვებია იმის გამო, რომ მომხრეა ავტონომიისა, სოციალდემოკრატიას კი ემება იმის გამო, რომ ესენი ცუდათ, ყალბათ უხსნიან ხალხს ავტონომიის მნიშვნელობას. უკანასკნელის დასამტკიცებლათ მოჰყავს ასეთი „გამანადგურებელი" საბუთი: სადღაც, რომელღაც მიტინგებზე ვინმე სოციალდემოკრატები თურმე „წკრიალა ხმით (!) გაიძახოდენ: „ქართველ ავტონომისტებს ქართველი კათალიკოზ-, ქართველი ეპისკოპოზი და ქართველი მღვდელ-ბერები უნდათ და მით ძველი პატრიარქალურ წყობილების აღდგენაო; ისინი ბურჟუების და თავ.-აზნაურების მოყვარენი არიან და გლეხების და მუშების მოსისხლე მტრებიო და სხ. ამგვარებს". დავიჯეროთ, რომ ნალაპარაკევი სწორეთ არის გადმოცემული. მერე სად არის აქ ავტონომიის ყალბი განმარტება? ამოწერილ სტრიქონებში ავტონომიის განმარტებაზე ხომ ერთი სიტყვაც არ არის დაძრული! ნათქვამია მხოლოდ, რომ ავტონომისტებ შორის ყველა ჯურის ხალხი ირევა. რა თქმა უნდა იპოვებიან ავტონომისტები, რომლებიც მართლა თანაუგრძნობენ მშრომელ ხალხს. მაგრამ ავტონომისტებ შორის რომ ირევიან ქართველი „კათალიკოსები", ეპისკოპოზები, მღვდელ-ბერები, ბურჟუები და სხ. ეს უნდა იცოდეს იმ ბავშვმაც კი, ვისაც დედაენის კურსი გაუთავებია; და უცნაურია, რომ ეს არ გაეგება ბ-ნ ეგვიტიშვილს, მით უფრო უცნაურია, რომ იგი ძალიან დაახლოვებით იცნობს იმ ბურჟუა-აზნაურ—ავტონომისტებს, რომელთა ცხოვრების მთელი შინაარსია გლეხებისა და მუშების ძარცვა-ყვლეფა.

შემდეგ, მოკამათე ემება სოციალდემოკრატებს იმის გამო, რომ ესენი ვითომ მრავალ წლების განმავლობაში ჩასჩიჩინებენ გურულ გლეხებს: „დეცენტრალიზმი მშრომელი ხალხისათვის დამღუპველი და გამანადგურებელიაო". ამის საბუთი? ბ-ნი ეგვიტიშვილი გვითითებს იმაზე, რომ გურული გლეხები დღეს „უზარმაზარ რუსეთში ერთს დამფუძნებელ კრებას ითხოვენ". დღეს ერთი დამფუძნებელი კრების მოთხოვნა რომ ცენტრალიზმის მოტრფიალობას ნიშნავდეს, მაშინ რითი აიხსნება თუნდ ის გარემოება, რომ თქვენ თვითონ (სოც.-ფედერალისტები) ერთ დამფუძნებელ კრებას თხოულობთ? (ამის საბუთათ იხ. პროგრამა „ქართველ დემოკრატებისა", რომელთაც თქვენ ბლოკით შეეკარით).

თუ თქვენ გაგეგებათ ტერმინი „დეცენტრალიზაცია", მაშინ უნდა გესმოდეთ ისიც, რომ როდესაც სოციალდემოკრატია ითხოვს ფართე ადგილობრივ თვითმართველობას, იგი ამით უკვე ითხოვს განსაზღვრულ დეცენტრალიზაციას, რადგან ფართე ადგილობრივი დემოკრატიული თვითმართველობა ისევე წარმოუდგენელია უდეცენტრალიზაციოთ, როგორც ადამიანი უჰაეროთ.

რაც შეეხება ავტონომიას და ეროვნულ საკითხს საზოგადოთ, უნდა გაგიმჟღავნოთ, რომ დღეს სოციალდემოკრატია ამ საკითხზე წინ აყენებს მთელი რუსეთის იმპერიის საერთო მონობის ბორკილების დამსხვრევას და საერთო დემოკრატიულ წეს-წყობილების დამყარებას; ეს აუცილებელი ნიადაგია ეროვნულ ჩაგვრის მოსასპობათ, ეროვნულ საკითხის ჯეროვან გადასაწყვეტათ; და როდესაც თქვენ ემებით სოციალდემოკრატიას, მაშასადამე, წინ ეღობებით დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას, თქვენ ამით, სხვათა შორის, ეხმარებით ეროვნულ ჩაგვრის გახანგრძლივებას.

თქვენ რომ სოციალდემოკრატების გაკრიტიკება მეტის-მეტათ არ გაინტერესებდეთ, მაშინ საკითხს და ბევრ სხვასაც უფრო უკეთ გაიგებდით. აი მაგ. თქვენ ერთ ვაი უშველებელს ეძლევით იმის გამო, რომ მოწინააღმდეგეს უთქვამს: „ხალხმა რომ ბატონ-ყმობის დაბრუნებაც მოინდომოს, ს.-დემ. ხელს ვერ შეუშლის, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მას ს. დ., თავისი აზრი არა აქვს ამა თუ იმ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენაზე"... სოციალდემოკრატია თავის აზრს ჯიბეში არ ინახავს, იგი თავის აზრებს ყოველთვის ხალხს უქადაგებს. ყოველთვის ცდილობს ჩააგონოს, შეაგნებინოს თავისი მდგომარეობა და კეტებით საბრძოლველათ კი—რაც უნდა რეაქციონური ზომა წამოაყენოს ხალხმა—სოციალდემოკრატიასთან ვერ მივა.

აი ასე მარტივათ უნდა გავეგოთ ზემო-

„სობოროს მოედანი ხალხით არის გაჭედილი. ბულვარის დასწვრივ ალიხანოვის კადეტები ჩამწკრივებულან და თავ მოყრილ ხალხს რომ ხედავენ კბილები უკაწკაწებთ. სობოროს წინ მაღალი ტრიბუნაა ამართული. ნელისა და თავისუფალი ნაბიჯით ადის ზედ ჩვენი დავითი. ხალხი ტაშის ცემით ეგებება მას. სახეზე სიამოვნების ღიმილი უთამაშებს.

„ამხანაგებო, კადეტებო!" დაიგრიალა მან და მცირეთ შეჩერდა.

„რუსეთის რევოლიუცია, ეს კადეტების რევოლიუციაა! ჩვენმა პარტიამ საკუთარი მხრებით გამოიტანა ის ათასგვარი გასაჭირიდან. მართალია, როგორც პარტია, ის სულ ახლო წარსულში დაიბადა, მაგრამ ჩვენ უწინაც ვიყავით. აი შემოხედეთ ჩემს ჭაღარას. კალისტრატეს ხომ ყველანი იცნობთ, ის ჩვენია, ჩვენი!.. ჩვენ ვცდილობთ ბოლო მოუღოთ რევოლიუციას და ერთი მშვიდობიანათ ამოვისუნთქოთ, მადლიანათ დავიძინოთ. ხომ გინდათ მშვიდობიანი ძილი მოქალაქენო?! (გვინდა, გვინდაო, გაისმა ხალხის გუგუნი) მაშ ეგრე; ჩვენი გამარჯვება თქვენს დამშვიდებას მოასწავებს. ადგილ-მამულის განაწილებაში ჩვენ არ შევეცილებით, ვინაიდან ჩვენ ისედაც ბლომათ გვაქვს სახნავ-სათესი. არ დაუჯეროთ სოციალდემოკრატებს, არ დაუჯეროთ, არ დაუჯეროთ. მარქსი და ენგელსი კადეტები იყვენ, კაუცკი და პლეხანოვი კადეტები არიან, ჩვენი ნამესტნიკიც კადეტია, კადეტი. (დავითს თან და თან აღფრთოვანება-ეტყობა).

მედგარ ბრძოლაში არ შედრკება კადეტთა გული,
კიდეც გამოვა დღეს ბრძოლიდან გამარჯვებული.
თქვენს წინაშე დგას ოთხი კაცი, ოთხივე დავით,
ვიწყებ მარშლიდან და ვათავებ ქალაქის თავით.
მაშ გაათეთრეთ უცილობლათ ეს ოთხივენი,
სახელოვანნი და ცნობილნი მამულის ძენი.
უყარეთ კენჭი."

ხალხი ყუთებს მიაწყდა. თითონ დავითი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალ-ყურს. სულ 6000 ამომრჩეველი გამოცხადდა. კენჭების ჩხრიალი საამურათ ისმოდა ბულვარის არეში.

— „დავით ნიკარაძეს"—დაიძახა ვილაცამ—12000 თეთრი.

—დავით ლორთქიფანიძეს 13000 თეთრი.

—დავით მიქელაძეს 15000 თეთრი.

—დავით კვირკველიას 25000 თეთრი.

დავითს სიხარულით სული შეუგუბდა და ლაზათიანათ გაქნეული ხელი კედელს მიარტყა. ვერც კი მოასწრო გეეთავებია დაწყებული წინადადება:

—კადეტების პარტიას გაუ... რომ, საწუხაროთ, გამოეღვიძა.

24 აპრილი. არჩევნების დღეა. უჰ, რა მშვენიერი სიზმარი... ვნახე... ღმერთო ამიხდინე... (აქ დღიური თავდება).

ეშმაკი.

---

*) დაბეჭდილი იყო ამ ერთ თვის წინათ. სტატიის ავტორი ამ ჟამათ მოკლებულია საშუალებას პასუხი გასცეს მოკამათეს. ამასაც დრო ჩაუგდია ენის მოსაფხანათ.

ხსენებული ციტატა. „მზა-მზარეულ ქადებზე" ლაპარაკი კი თქვენივე აზრის უილაჯობას ჰმოწმობს.

დასასრულ ერთი კურიოზი.

ბ-ნი ევგეტიშვილი ქართველ სოციალ-დემოკრატებს მოგვმართავს ასე: „მოიღეთ მოწყალება," მოხსენით საომარ დროის წესები იმ ქალაქ-სოფლებში, სადაც თქვენი „შეურყეველის რწმენის" დროშა უკვე აფურიალებიათ და მით მოგვეცით საშუალება გავუზიაროთ ხალხს ჩვენი აზრი, ჩვენი იდეალი". უნდა ვაუწყოთ, რომ მისი თხოვნა შეწყნარებულ იქნება, როცა იგი წარმოადგენს „სიუწიფის ატესტატს".

პეტიციის მომხრე ქალებს.

კიდევ თხოვნა, ხვეწნა-მუდარა, სამარცხვინო პეტიციები! „ვაი სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე", რომ ისიც კი აღარ შერჩენიათ ჩვენს ქუთაისის ქართველ ქალებს. წაიკითხავდი, მკითხველო, გაზეთ „შრომის" მეორე ნომერში „დიდებულ" პეტიციის შინაარსს, რომელსაც ამზადებენ თურმე ქუთაისის ქართ. ქალები.

როგორ გგონიათ, პატივცემულნო მანდილოსანნო! ვით-მც დიდი რამე აღმოაჩინეთ პეტიციის დაწერით, ჩაიდინეთ საქმენი საგმირონი?! ჩვენს ბრწყინვალე საზოგადოებას თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში პეტიციების და თხოვნების მირთმევის მეტი არაფერი უკეთებია, მაგრამ იმათ რა გამოიტანეს, რომ თქვენც იმათ გზას დადგომიხართ?..

საბრალონი ხართ, საბრალონი! საუკუნოების განმავლობაში მონები იყავით და სამარცხვინოთ დღესაც ისე განაგრძობთ. თქვენ ყველასთან და ყველაფერთან მონური დამოკიდებულება გაქვთ. ეს პეტიციაც თქვენი მონობის ნაყოფია! ძლიერი, წმინდა, მაღალი არაფერი გაკავშირებთ არც სიცოცხლესთან. ოღონდ-კი სიცოცხლე შეირჩინოთ, ოღონდ-კი არსებობდეთ და ყველაფერს ჩაიდენთ, ასეთ პეტიციებსაც ხშირად დასწერთ, ხშირად წახვალთ ალიხანოვის ადიუტანტებთან ერთად „მასკებით" საქეიფოთ, მაშინ როცა მთელი ქუჩები მოსვრილია მოძმის სისხლით. თქვენ არხეინათ, მხიარულათ დაგოგავთ და კატაობთ ზოგი ეტლით, ზოგი აფიცრის ცხენებით, აფიცრით გარშემორტყმულნი. თქვენთვის დიდი მეჯლისია სისხლით მოსვრილ ქუჩებზე და, შეიძლება, არც ის გაკრთობდეთ, როცა თქვენ ლამაზ, კოხტა ფეხებზე სისხლს დაინახავთ... ამისთვის კი თქვენ არ გცალიათ, მაგიერს პეტიციისთვის კი როგორ მოიცალეთ?

თქვენ იმდენი უტიფრობაც შეგრჩენიათ, რომ ბედავთ და თქვენს პეტიციას წერთ „ქუთაისის მანდილოსნების" სახელით; რომელი უფლებით? ვინ მოგცათ თქვენ იმის ვექილობა, რომ მთელი ქუთაისის მანდილოსნების მაგიერათ შეგეთხზათ ასეთი „სასიქადულო" პეტიცია?!

თქვენ შეგეძლოთ ჯგუფის, ან სხვა რამ სახელით გესარგებლნათ, მაგრამ მთელი ქუთაისის ქალების სახელით კი არამც და არამც. ნურას უკაცრავათ და მაგ პეტიციის დამწერთ და მათ თანამოაზრეთ არაოდეს არ შეუძლიათ იყონ მთელი ქუთ. ქალების აზრის და სურვილების გამომხატველნი. მე ამ სტრიქონების დამწერი ერთი ქუთ. ქართ. მანდილოსანთაგანი და ჩემთან ერთად ჩემი თანამოაზრენი ზიზღს ვუცხადებთ თქვენს სამარცხვინო პეტიციას.

ერთი მითხარით, როდის გრძნობდით შეურაცხყოფილათ თავს თქვენ—ის ქუთათური მანდილოსანნი, რომელნიც მომხრე ბრძანდებით „პეტიციის"? არასოდეს! ვინც იყო და არის ქუთაისში შეურაცხყოფილი, იმათი ზიზღი და მძულვარება იმდენად დიდია, რომ მათ არ შეუძლიათ ასეთი სამარცხვინო პეტიციით მიმართონ თავიანთ გამათახსირებელს.

როცა რეაქციამ ფეხი შემოდგა, თქვენს დაფარულ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. როცა დაბა სოფლებიდან ამბები მოდიოდა: ესა და ეს სოფელი ააოხრეს, გადასწვეს, ქალებს ნამუსი ახადეს, დახოცეს, ტანჯეს, აწვალეს, ყველგან სისხლის ტბები დგას, თქვენ ქუთაისის მანდილოსანნო, პეტიციის მომხრენო, თანაგრძნობის მაგივრათ აფიცრებთან „დაკატაობდით" და მასკებში შეიძლება ისეთ ვაჟბატონებთან ატარებდით დროს, რომლების მეოხებითაც წინა დღეს ქალებს ნამუსი ახადეს, დაბა-სოფლები გადასწვეს და ხალხის სისხლით ხელები გაითხუპნეს. დღ[illegible] ქენ მათგან ქათინაურებს ღებულობთ, კლავებზე ჩამოკიდებულნი მათთან დაეხეტებით, იცინით, კასკასობთ...

თქვენი პეტიციებით და სამარცხვინო თხოვნებით თქვენ ღრმა შეურაცხყოფას აყენებთ ისედაც შეურაცხყოფილთ და ფეხქვეშ გათელილთ. ვინ მოგცათ ამის ნება? როგორ ბედავთ ამას?

გიჯობთ, ქალბატონებო, პეტიციებს თავი დაანებოთ. ახლა ხომ აფიცრებთან თქვენი მანჭვა-გრეხის სეზონია?! ნუ დაჰკარგავთ თქვენთვის სანეტარო დროს, თორემ, ხომ იცით მუდმივი არაფერია! მაგ ნეტარებასაც ბოლოს მოუღებს დიადი მომავალი...;

თქვენც თვალებს გააჭყეტთ, მაგრამ გვიანღა იქნება...

ემანუელ.

პატარა ფელეტონი

„უჩასტკაში"

(პატარა ამბავი)

გაზაფხულია. ზამთრის სუსხისგან გაღვიძებული ბუნება ჰკკლუცათ მორთულ-მოკაზმულა. ყველაფერს სიცოცხლის ნიშნები ეტყობა. გაზაფხულის ჟამით დამთვრალ ჩიტუნებს საამური ჟღურტული აქვთ. შავდარი ქალაქი გაცოცხლებულა. საზარელ ამბებით დამფრთხალი ხალხი თავიანთ სოროებიდან გამოძვრებიან და ხარბათ ეწაფებიან სხვა და სხვა სურნელებით შეზავებულ გაზაფხულის ჰაერს. ქუჩებში გაცხარებული მოძრობაა. სიცოცხლე სდუღს და გადადუღს. ადამიანებს დაუვიწყნიათ საზარელი წარსული, დაუვიწყნიათ თოფ-ზარბაზნების გრიალი, ხოცვა-ჟლეტა, დაჭრილთა ოხვრა-კვნესა, და სიხარულით ეგებებიან გაცოცხლებულ ბუნებას. მათ სიცოცხლე სწყურიათ, მათ ცხოვრება უნდათ. ყველა ხარობს, ყველას რაღაც იმედი უბრწყინავს თვალებში.

მხოლოდ ქუჩის მოსახვევში ატუზული კაცი ვერ მოუხიბლავს გაზაფხულის სიმშვენიერეს, მას ვერ იტაცებს ვერც ჩიტების ჟივილ-ხივილი, ვერც ყვავილთა სუნნელება, ვერც მოკაშკაშე ბრწყინვალე მზე, ვერც ახალგაზდა ქალ-ვაჟთა მხიარული კისკისი. ის ერთ ადგილას გარინდებულა და თვალები ქუჩისკენ გაუშტერებია. ის გულგრილათ, გესლიანათ ყველა გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებს. შორიდან კაცს ასე ეგონება, თითქო ის ადამიანთა მხიარულებას გაუტაცნიაო. მაგრამ არა, მის გულს ასე ადვილათ ვერ აანჩქროლებს ვერავითარი ბუნების ძალა და სიმშვენიერე. მისი გული ჯოჯოხეთათ გადაქცეულა, მისი გონება სამუდამოთ დახშულა. ის ჯაშუშია! მას ფეხებზე კიდია შენი თვალ-წარმტაცი ბუნება, მას ფეხებზე კიდია ადამიანთა მხიარულება და ტკბილი ცხოვრება, მისი დაჩლუნგებული გონება მხოლოდ ადამიანთა გაცემას შეუპყრია. უშნო კისერი გაუძაბავს, გადმოკარკნილი თვალები საზარლათ დაუჭყეტია და ათვალიერებს გამვლელ-გამომვლელს—იქნება საკბილო ვინმეს წავაწყდეო. და აი წააწყდა კიდეც. მას წინ ჩაიარა ორმა ახალგაზდამ. ჯაშუშმა თვალები დააშტერა. მათმა ღურჯმა ხალათებმა და უდროოთ დალარულმა სახემ მიიპყრო იმას ყურადღება და ის ქურდულათ, ფეხაკრეფით აედევნა მათ უკან.

იქნებოდა დილის ათი საათი, როცა ნიკო წკვერტაძე და ილიკო კვანტიაშვილი გამოვიდენ ქუჩაზე. მათი დაღვრემილი სახე აშკარა მოწმე იყო იმისა, რომ მათ ჭირ-ვარამით დადარდულ გულს ვერ ატკბობდა ჰკკლუცი გაზაფხული და ათას ფრათ აჭრელებული ბუნებით არეული ხალხი. ისინი ნელი ნაბიჯით სდღაც მიეშურებოდენ და რაღაცაზე გულმოდგინეთ ბაასობდენ. ის იყო ერთ ქუჩაზე შეუხვიეს, რომ, თითქო მიწიდან ამოძვრაო, მათ წინ „გოროდოვოი" გამოიჭიმა.

— თქვენ, მეოთხე ნაწილში უნდა წამობრძანდეთ ემაწვილებო.

ყმაწვილები უცბათ შეკრთენ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ. არც ერთი მათგანი ასეთ მოულოდნელ ამბავს არ მოელოდა, ისიც ქუჩაში შუადღისას. ერთი მეორეს შეაშტერდენ და არ იცოდენ რა ექნათ.

— რატომ? რისთვის? რათ უნდა წამოვიდეთ?—ორივე ერთხმათ შეეკითხა გოროდოვოის.

— ჩემი საქმე არ არის, მე მიბრძანეს, წამოდით, იქ გეტყვიან.—სრულიად გულ-გრილათ უპასუხა გოროდოვოიმ.

ემაწვილებმა ერთმანეთს შეხედეს, ქუჩას თვალი მოავლეს, შემდეგ გოროდოვოის ხიშტიან თოფს შეხედეს და გაყვენ გოროდოვოის.

ცოტა ხნის შემდეგ, წესიერების დამცველმა ისინი პოლიციის ნაწილში მიიყვანა, უბნის მორიგ ზედამხედველს გადასცა, ყურში რაღაც უჩურჩულა და გავიდა. უბნის ზედამხედველი უცბათ საშინლათ გაბრაზდა და ლანძღვა-გინება დაიწყო.

— ოხრებო! წუწკლებო! კაცს ქუჩაში ვეღარ გაუვლია.

წკვერტაძე და კვანტიაშვილი ვერ მიმხვდარიყვენ ვისზე ჯავრობდა უბნის ზედამხედველი.

— თქვენი გვარი? შეეკითხა ის წკვერტაძეს.

— წკვერტაძე, აოხრებულ გუბერნიიდან, განადგურებულ მაზრიდან,—უპასუხა წკვერტაძემ.

— თქვენი? შეეკითხა ზედამხედველი კვანტიაშვილს.

— კვანტიაშვილი, იმავე გუბერნიიდან და იმავე მაზრიდან.

— სად ან რაზე დაგიჭირეს?

— ჩვენც გვიკვირს, რატომ დაგვიჭირეს—უპასუხა კვანტიაშვილმა,—ჩვენთვის ქუჩაში მივდიოდით, რომ გოროდოვოი გადაგვიდგა გზაში და აქეთ წამოგვრეკა. ეს არის ახლა ჩამოვედით სოფლიდან და რომ გვგონებოდა აქ, ქუჩაში არავის არ ატარებენ, რავა ძაღლი დაგვჭამდა, რავა ვიზამდით აქეთ პირს.

— სადმე აქეთ-იქით ხომ არ იხედებოდით?

— თქვე დალოცვილო, აბა რა ვიცით, სით ვიხედებოდით, თვალ-დახუჭული ხომ ვერ გავივლიდით აბა ქუჩაში. თქვენ უთუოთ გეცოდინებათ რათ მოგვიყვანეს აქ.

— ცოტა მოითმინეთ და ყველაფერს გეტყვით—უპასუხა ზედამხედველმა. დასწერა ქაღალდი, დაუძახა გოროდოვოის და სადღაც გაგზავნა.

— იცით ვინ დაგიჭირათ თქვენ?—მიუბრუნდა მათ ზედამხედველი, როცა ქაღალდის წერას მორჩა, თქვენ ჯაშუშმა დაგიჭირათ. ჯაშუშს უბძანებია გოროდოვოისთვის და ისიც რას იზამდა უნდა დაეჭირეთ. კვანტიაშვილს და წკვერტაძეს საშინლათ გაუკვირდათ ეს ამბავი.

— თუ ღმერთი გწამთ აგვიხსენით ვინ ჯაშუშია, რა ჯაშუშია, ან რათ დაგვიჭირა, რა უნდა ჩვენგან?

— ჯაშუშები ანუ შპიონები მთავრობის დაქირავებული კაცებია, იმათ კიდევ სხვა სახელს ფულკერებს ეძახიან, ფულებს ბლომათ ღებულობენ. ყველას მოწმობები უდევთ ჯიბეში და როცა ვინმეს დაჭერა უნდათ გოროდოვოის უჩვენებენ ამ მოწმობას და ისიც ვალდებულია აასრულოს მისი ბრძანება. თქვენც ასე დაგიჭირეს. მე ახლა ჟანდარმებთან გავგზავნე ქაღალდი და ვნახოთ რას შემომითვლიან. ჩემი საქმე რომ იყოს ყმაწვილებო, ერთ წუთსაც არ გაგაჩერებდით აქ, მარა რა გქნა გეცოდინებათ, რა ოხრებიც არიან ის წუწკლები. დაბძანდით ცოტა ხანს, საქმე მალე გამოირკვევა. ყმაწვილები დაღონებულნი დაუშვენ სკამზე და ორივე ფიქრებმა გაიტაცა. ეს ახირებული შემთხვევა ორივესთვის მეტათ საწყენი და გულსაკლავი იყო. მიდიხარ ქუჩაში ადამიანი, რაღაც ათას გეგმას ადგენ თავში, სადღაც ათას ადგილას გინდა მისვლა, ფიქრობ ამაზე, იმაზე და უცბათ ყველა ამას მაგიერ პოლიციაში ამოჰყოფ თავს. ეს ისეთი მოულოდნელი და სამწუხაროა, რომ დავთარს დაგიბნევს ადამიანს. წკვერტაძის და კვანტიაშვილის მდგომარეობა მით უფრო სამწუხარო იყო, რომ მათ არ იცოდენ, რა მოელოდათ შემდეგში, თან ცარიელი კუჭი და პაპიროზის მოწევის წყურვილი აორკეცებდა მათ ტანჯვას.

— პაპიროსი არა გაქ? შეეკითხა კვანტიაშვილი წკვერტაძეს.

წკვერტაძემ ჯიბეები ამოიქექა და სადღაც ჩარჩენილი სამ კაპეიკიანი პაპიროსი ამოაძვრინა. ორივემ სიამოვნებით გააბოლა პაპიროსი და ისევ ფიქრებში გაერთენ. ცოტა ხნის შემდეგ ნაწილის კარებს ორი ჭრელა თვალებიანი კაცი მოადგა, შინაურულათ შემოვიდენ ოთახში და დასხდენ. არ გასულა ხუთმეტი წუთი, რომ მათ უკან პატარა ბიჭი შემოჰყვა და მშვენიერათ შემწვარი ბატკანი და ოთხი ბოთლი ღვინო შემოიტანა. გააწყვეს სუფრა. წკვერტაძე და კვანტიაშვილი მეტათ გააკვირვა ამ სანახაობამ. უფრო გაკვირდენ, როცა ორივე, უბნის ზედამხედველმა ზრდილობიანათ მიიწვია.

— მობრძანდით ემაწვილებო! სანამ დრო, დროება გავატაროთ. მე ვიცი თქვენ უსადილო იქნებით.

ემაწვილები ასეთმა ზრდილობიანათ მოპყრობამ ცოტა არ იყოს ძალიან გააკვირვა. პოლიციის ნაწილი, უბნის ზედამხედველი, ტუსაღი და ასეთი ზრდილობიანი ქცევა წარმოუდგენელი იყო მათთვის. ცოტა ყოყმანის შემდეგ ორივე მიუჯდა სუფრას და მადიანათ შეექცენ სადილს.

— ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს ყმაწვილებო, გისურვებთ თქვენი სურვილების ასრულებას.—წარმოსთქვა ზედამხედველმა და სავსე ჩაის სტაქანს დაეწაფა.

— რაღა სურვილების ასრულება, ჩემო ძმაო, უთხრა წკვერტაძემ—თუ ასე კარგათ აგვისრულდა სურვილები როგორც დღეს, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაყეფს. ორივე მე და ჩემი ამხანაგი მძიმე ავათმყოფები ვართ, საექიმოთ ჩამოვედით და ექიმის მაგიერ პოლიციაში მოგვახანჩალეს, ორივე ისეთი მშვიდობიანი ხალხი ვართ, რომ ჭიანჭველას ფეხს არ დავადგამთ. ნეტა რათ გათავდება ჩვენი საქმე?

— ჰმ, ერთი ჩვენი ბედიც იკითხე, ისეთი დრო მოვა, რომ სულ ტყავს აგვაძრობენ. აბა ერთი კიდევ სოციალდემოკრატიამ გაიმარჯოს! მაგრამ რა დროს ეგენია! დალიე, რაღა, ჩხუბი არ ამატეხინო!..—მოვლენ და გაგათავისუფლებთ. აბა ილიკოს გაუმარჯოს!—სთქვა მან და ილიკო კვანტიაშვილს გადასცა სავსე სტაქანი.

კვანტიაშვილმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე და დასცალა სტაქანი. ჯერი წკვერტაძეზე მიდგა, მან დიდის ამბით აიღო სტაქანი, ქება-თა-ქება შესხა იქ მყოფთ და უსუნთქებლივ გადაუღუნჭა. თითქმის მთელი ორი საათი ასე გადადიოდა ღვინით სავსე ჩაის სტაქანი. წკვერტაძე პირზე აიტკიცა, ლაპარაკს უმატა და თან ცალ თვალს კარებს აღარ აშორებდა. ეტყობოდა რაღაც ცუდი აზრი უტრიალებდა თავში. კვანტიაშვილს ერთი ორჯერ ფეხიც წაკრა და კიდეც უჩქმიტა, მარა ის დინჯათ იყო და ამშვიდებდა აღელვებულ წკვერტაძეს.

კარგა ხნის სმა-ჭამა და ქეიფის შემდეგ მოვიდა „საიდუმლო ქვეყნის" კაცი და ორივე ცალკე ოთახში გაიწვია,

— რა ამბავია ემაწვილებო. რაზე დაგიჭირეს? თითქო არ იცოდა რაშიაც იყო საქმე, ისე შეეკითხა ის მათ.

— ჩვენ თქვენთვის უნდა გვეკითხა, რაზე დაგვიჭირეს, ავათმყოფი ხალხი სოფლიდან ჩამოვედით ექიმთან მივდიოდით და პოლიციაში კი მოგვიყვანეს, გვიკვირს რა უნდათ ჩვენგან.

— მე კუჭის ტკივილი მაქ—უთხრა კვანტიაშვილმა.

— მე ხრონიკული ავათმყოფობა მაქ—უთხრა წკვერტაძემ.

— აბა პასპორტები მიბძანეთ—უთხრა მათ მოსულმა,—ორივემ გადასცა თავიანთი პასპორტები.

— თქვენი სახელი?—შეეკითხა „მოსული" წკვერტაძეს.

— ჩემი სახელი... სოლომონ... ნიკოს ძე.

— თუ ნიკო სოლომონის ძე?

— ჰმ... უკაცრავათ, მამის სახელი სოლომონ, ჩემი კი—ნიკო.

— რამდენი წლისა ხართ!

— ჰმ... ოც... და ხუთი... ექვსის...

— რომელ წელში გაგიწვევს ჯარში.

— ათას... ცხრას... შვიდში.

— ჯერ ხომ 1907 წელი არც კი დამდგარა.

— უკაცრავათ... ჰმ... 1903 წელში.

ასე გამოკითხა კვანტიაშვილსაც. შემდეგ გაიხმო ორივე და საიდუმლოთ კითხა, მითხარით მართალი, რაზე დაგიჭირესო. ორივემ ისევ ის გაიმეორეს, რაც წინეთ.

— მაშ, ემაწვილებო, ცოტა ხანს დამიცადეთ და ყველაფერს გავიგებ—უთხრა მან წკვერტაძეს და კვანტიაშვილს და სადღაც გაქრა.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ ის უცბათ შემოიჭრა ოთახში და მხიარულის ხმით დაიძახა:

— თქვენ თავისუფალი ხართ ყმაწვილებო!

წკვერტაძე და კვანტიაშვილი ამ სასიამოვნო სიტყვებზე უცბათ გაცოცხლდენ, ქუდებს ხელი სტაცეს და შურდულივით გავარდენ ქუჩაში.

პოლ. ირეთელი

რუსეთი

ადესაში პოლიტიკური ტუსაღები დახოცეს. გასული წლის ოქტომბერში, მავბედითი მანიფესტის გამოცხადების შემდეგ დღეებში ადესაში, როგორც მკითხველებმა იციან, ებრაელების საზარელი ჟლეტა-დარბევა მოხდა. ამ დარბევაში სხვათა შორის მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ბოქაული პოგრებნოი და ერთი უბნის ზედამხედველი. პირველი, როგორც გუშინ ვწერდით, ვიღაც უცნობმა სასიკვდილოთ დასჭრა რევოლვერით, ხოლო მეორეს ერთმა ახალგაზდა ქალმა ბომბა ესროლა, მარა ვერაფერი ავნო. მსროლელ ქალს გოროდოვოი დაეწია და ხმლით დაჩეხა. დასახიჩრებული, ნაწამები ახალგაზდა ქალი გაძლიერებული კონვოით ციხეში მიიყვანეს, ქალის გულის შემზარავმა სანახაობამ და კვნესა-კივილმა პოლიტიკური პატიმრების ყურადღება მიიქცია. მალე მთელ საპატიმროს მოედო ეს ამბავი. ციხეში რევოლიუციონური სიმღერების გუგუნი გაისმა. „სიკვდილი მტარვალებს, წყევა-კრულვა ჯალათებს", გაიძახოდენ ტუსაღები. უცებ ციხეში პატრული გაჩნდა. „მოშორდით სარკმელებს", გაისმა ბრძანება. საერთო აურ-ზაურში და ხმაურობაში ეს ბრძანება ვერავინ გაიგონა. იგრიალა თოფებმა. ერთი ტუსაღი, გვარათ ბაკერი, უსულოთ დაეცა, მეორე საოსტატო ინსტიტუტის მოწაფე სასიკვდილოთ დაიჭრა.

ტრაგედია სმოლენსკის საპატიმროში. 16 აპრილს სმოლენსკის სატუსაღოში ერთმა პოლიტიკურმა თავი ჩამოიხრჩო. მეორესაც უნდოდა თავის მოკვლა, კედელს მიახალა თავი, მარა არ მოკვდა.

„სტრაჟნიკები" სამარცხვინო ფიცზე უარს ამბობენ. ტულის გუბერნიის ალექსინსკის მაზრაში 20 „სტრაჟნიკი" სამსახურიდან დაითხოვეს. მიზეზი ის იყო, რომ მათ არ შეასრულეს ბრძანება და არ შეფიცეს მთავრობას, თუ საჭირო დარჩა ჩვენს მშობლებსა და შვილებსაც მოვკლავთო.

დეპეშები

(პეტერბ. და რუსეთის დეპეშათა სააგენტოებ

20 აპრილი.

პეტრაკოვი. სახელმწიფო სათათბირ გრებათ აარჩიეს სამთო ინჟინერი კონდრ ჩი, მუშა გრაბიანსკი, ექიმი ზრაბიანსკი, ზაბგნევი, პადერევოკი, ქსენძი ფულმანი, მულე ვალიცკი, პირველი ოთხი კადეტებია, ნარჩენი პარტიის გარეშე.

21 აპრილი.

პეტერბურგი. გუშინ ვიტე ცარსკოე ლოში წავიდა. სამსახურიდან გადადგ დათანხმდენ. გაზეთების ცნობით ახალი მინისტრო შემდეგი პირებისაგან შედგ პრემიერ მინისტრი გორემიკინი, შინაგან ქმეთა—სტოლიპინი, განათლების—თავ. გო ცინი, იუსტიციის—შჩეგლოვიტოვი, ფინანს ბის—კოკოვცევი, საგარეო—იზვოლსკი, ს ზრო—რუხლოვი, გზათა—ნემეშაევი, მიწათ ქმედების—სტიშინსკი, კონტროლი—შვანებ ობერ-პროკურორი—გრ. იგნატიევი.

სახელმწიფო დუმის გლეხთა დეპუტატებ თათბირმა აგრარულ რეფორმასთან ერთად სა როთ [illegible] პოლიტიკურ დამნაშავეთა უოხებლივ განთავისუფლება. სრული ამნისტია. „ნოვოე ვრემია" იუწყება, რომ სემიონო პოლკის პოლკოვნიკ რიმანის წინააღმდეგ შ ქმულობა არ მოხერხდა. რიმანის შინ არ ფნის დროს მის ბინაზე მისულა სამხედრო ში, სადარბაზო ბარათი დაუტოვებია და ქვამს საღამოზე შემოვალო. გამოიკვლიეს, ექიმებში ასეთი გვარის არავინ ყოფილა. „ოხ ნნი ოტდელენიამ" ყარაულობა დაუწყო რიმ ბინას, საღამოზე მოვიდა სემიონოვის პოლ ფორმაში, აფიცერი. აგენტებმა ხელათ დაი რის ის. მას ბრაუნინგის რევოლვერი და ჯალი აღმოაჩნდა. დაჭერილი სტუდენტი მოჩნდა.

რიგა. საერთო გაფიცვა არ მოხერხდა. 2 ფაბრიკებში 81 გაიფიცა. პოლიციელებმა ჯარმა ხელი შეუშალა ტრამვაის შეჩერებას საფაჭროების დახურვას. წესიერება ბევრ ფაბ კებმა დაარღვიეს. როგორც ჩანს დღეს მუშა ბას განაახლებენ.

ელისავეტგრადი. გაანთავისუფლეს რამ ნიმე პოლიტიკური ტუსაღი.

მოსკოვი. 17 ოქტომბრის კავშირის დ დეგატთა სიეზდი დანიშნულია 25 აპრილს.

ბერლინი, 20 აპრილი. თავის სიტყვაში ბ ბელმა გაკიცხა პრუსიის პოლიცია, რომელმა თითქმის ყოველ-სამედო შეძლებული რუსებ კი გააძევა, იმ დროს, როდესაც რუსეთის მ კავშირე საფრანგეთს ერთი კაციც არ გაუძევებ ჯერო. პრუსიის პოლიციამ ერთი ებრაელი იმ ტომ არ გააძევა, რომ მას აღუთქვა მზათ ყ რუსეთს ვუღალატებო. მართალია, ამბობს ბ ბელი, პოლიციის ქაღალდებში ამ ამბის შესახ არაფერი ეწერება, მაგრამ მან უჩვენა ფოტოგრა ფიული პირი იმ ყალბ პასპორტისა, რომელი რუს ებრაელისთვის მიეცათ. აქ ვიცე პრეზიდენ ტმა გააწყვეტინა ბებელს და განაცხადა, რო ნებას ვერ მოგცემ პოლიციას ასე სასტიკათ შ ეხოთ და ასეთ საზიზღარ დანაშაულობაში ცილ დასწამოთო; შემდეგ ანტისემიტმა ლატმანმ განაცხადა, რომ ებრაელების გადასახლება თავ და-თან საშიშიაო; კენიგსბერგის ებრაელთა კო მიტეტი სცნობს, რომ ებრაელ ემიგრანტებშ ბევრი უსიამოვნო პირი ურევია; პარიზის უკა ნასკნელ არეულობაში რუსი-ებრაელები იღებდ მონაწილეობასო; შემდეგ ბასერმანმა სთქვა, რომ უცხოელების გაძევება გერმანიიდან კარგათ უნდ მოეწყოს, რადგან რევოლიუციონერების გადმო სახლება გერმანიაში არა სასურველიაო.

კამათი 4 საათს გაგრძელდა.

პარიჟი, 20 აპრ. საღამოს ვენსენის ტყე ში ორი კაცი მიდიოდა და თან ასაფეთქებელ ყუმბარა მიქონდათ. როგორც ჩანს, მათ უნდო დათ ყუმბარის მიწაში ჩაფვლა და დამალვა. ერ თი ყუმბარა მოულოდნელათ გასკდა, და ერთი ამხანაგი, სტრიგა, რომელსაც ყუმბარა მიქონდ მოკლა და მეორე სოკოლოვი დაიჭრა. ორივ რუსებია. სოკოლოვს ჯიბეში მეორე ყუმბარა აღმოაჩნდა, რომელიც ლაბორატორიის უფროსმა ააფეთქა. აფეთქება საშინელი იყო. ქვები და ბალახები, სადაც ყუმბარა აფეთქეს 200 მეტრის სიმაღლეზე გაიფანტა. სოკოლოვს საავათმყოფოში ფეხი მოსჭრეს. მან არც ერთ კითხვაზე პასუხი არ მისცა.

ბერლინი, 21 აპრ. მეტალურგიული მრეწველობის კავშირის წარმომადგენლებმა შესაძლებელათ დაინახეს 200,000 მუშების დათხოვა.

„ლამპარის" ფოსტა.

პეტერბურგი. „ანფან ტერიბლს". გთხოვთ ამბები მოგვაწოდოთ, როგორც კორესპონდენციებით, ისე დეპეშებით. სასყიდელს მიიღებთ. ადრესი გვაცნობეთ.

რედაქტორ-გამომცემელი **კ. თავართქილაძე.**

განცხადება

ქუთაისში
კანცორა „კოლხიდა"-მ
მიიღო დიდძალი ახალი რუსული და ქართული **ბროშიურები.**

„ა. რაბინოვიჩის"
საათის მაღაზიაში შვეიცარიიდან მიიღე ვერცხლის საათები, რომელზედაც ემალით დახატულია ცნობილი ქართველი პოეტის **შოთა რუსთაველის** სურათი.

თფილისი. ელიზავეტის ქუჩა, ისწრაფელ-მბეჭდავი „ლამპარი", № 17.